საბჭოთა ხალხის საქართველო და გეგმები

პროლეტარებო უფელა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 46-ე წელი № 289 (13374) | ოთხშაბათი, 8 დეკემბერი, 1965 წ. | ფასი 2 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სურათზე: სსრ კავშირის მეექვსე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეშვიდე სესიის სხდომათა დარბაზში.

საკადესის ფოტოქრონიკა (მიღებულია საქდესის ფოტოტელეგრაფით).

სსრ კავშირის მეექვსე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეშვიდე სესია

ჯთელი ჩვენი ქვეყნის ყურადღება კვლავ მიპყრობილია უძველესი კრემლისადმი. აქ წყდება საარსებოდ დიდმნიშვნელოვანი საკითხები. შვიდწლედის დამამთავრებელ ამ ღირსშესანიშნავ დღეებში, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXIII ყრილობის აღსანიშნავი საყოველთაო-სახალხო შეჯიბრების დღეებს, შეიკრიბნენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატები. შეიკრიბნენ, რათა დასახონ კომუნიზმისაკენ შემდგომი წინსვლის გზები.

7 დეკემბერს დილის 10 საათზე გაიხსნა სსრ კავშირის მეექვსე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეშვიდე სესია. კრემლის დიდ სასახლესა და კრემლის თეატრში გაიმართა კავშირის საბჭოსა და ეროვნებათა საბჭოს ცალ-ცალკე სხდომები. თავმჯდომარეობდნენ დეპუტატები მ. ა. სტელმახი და ი. ვ. პეიფე. დამტკიცდა დღის წესრიგი. სესია განიხილავს სამ საკითხს:

1. სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1966 წლის სახელმწიფო გეგმა.

2. სსრ კავშირის 1966 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი და სსრ კავშირის 1964 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულება.

3. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებათა დამტკიცება.

11 საათზე კრემლის დიდ სასახლეში გაიხსნა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოსა და ეროვნებათა საბჭოს გაერთიანებული სხდომა.

ლოჟებში შემოდიან ამხანაგები ლ. ი. ბრეჟნევი, გ. ი. ვორონოვი, ა. პ. კირილენკო, ა. ნ. კოსიგინი, კ. ტ. მაზუროვი, ა. ი. მიკოიანი, ნ. ვ. პოდგორნი, დ. ს. პოლიანსკი, მ. ა. სუსლოვი, ნ. მ. შვერნიკი, ა. ნ. შელეპინი, კ. ე. ველასტი, ვ. ვ. გრიშინი, პ. ნ. დემიჩევი, ლ. ნ. ეფრემოვი, ვ. ა. მეფანასაძე, შ. რ. რაშიდოვი, დ. ო. უსტინოვი, ვ. ვ. შჩერბიცკი, ი. ვ. ანდროპოვი, ი. ვ. კაპიტონოვი, თ. დ. კულაკოვი, ბ. ნ. პონომარიოვი, ა. პ. რუდაკოვი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრები, სსრ კავშირის მთავრობის წევრები, რომლებსაც დეპუტატები და სტუმრები გულთბილად ხვდებიან.

სესიას დაესწრნენ დიპლომატიური კორპუსის წევრები, საბჭოთა და უცხოელი ჟურნალისტები.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ სხდომის თავმჯდომარემ დეპუტატმა მ. ა. სტელმახმა სიტყვა მოხსენებისათვის — „სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1966 წლის სახელმწიფო გეგმის შესახებ“ მისცა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეს, სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარეს ნ. კ. ბაიბაკოვს.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის, სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარის ნ. კ. ბაიბაკოვის მოხსენების შემდეგ სიტყვა მიეცა სსრ კავშირის ფინანსთა მინისტრს დეპუტატ ვ. თ. ბარბუზოვს. მან გააკეთა მოხსენება „სსრ კავშირის 1966 წლის სახელმწიფო ბიუჯეტისა და სსრ კავშირის 1964 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების შესახებ“.

ვ. თ. გარბუზოვის მოხსენების შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ წაიკითხა დეპუტატთა ჯგუფის შეკითხვები სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრისადმი.

ერთ-ერთი შეკითხვა შეეხება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის XX სესიის მუშაობას და იმას, თუ როგორ განიხილავენ ამ სესიაზე საბჭოთა კავშირის წინადადებებს ატომური იარაღის გაუვრცელებლობისა და სახელმწიფოთა საშინაო საქმეებში ჩაურევლობის შესახებ.

„საბჭოთა საზოგადოებრიობა. — მიმართავენ დეპუტატები მინისტრს,— ყურადღებით ადევნებს თვალყურს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის XX სესიის მუშაობას, იმას, თუ როგორ განიხილავენ ამ სესიაზე საბჭოთა კავშირის წინადადებებს ატომური იარაღის გაუვრცელებლობისა და სახელმწიფოთა საშინაო საქმეებში ჩაურევლობის შესახებ. ამ წინადადებებში ასახულია მრავალმილიონიანი საბჭოთა ხალხის ნება და სურვილი. ჩვენი ამომრჩეველნი ცხოველ ინტერესს იჩენენ ვიეტნამისადმი, რომელიც ამჟამად შეიქმნა გენერალური ასამბლეის სესიაზე, იმისადმი, თუ როგორ მიმდინარეობს სესიაზე ამ წინადადებათა განხილვა“.

დეპუტატთა მეორე ჯგუფს აინტერესებს მოისმინოს მინისტრისაგან, თუ როგორ აფასებს საბჭოთა მთავრობა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის კანცლერის ლ. ერჰარდის სამთავრობო განცხადებასა და გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკის რევანშისტულ პოლიტიკას.

„გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში, — წერენ დეპუტატები, — უკანასკნელ ხანს შესამჩნევია ხაშში მილიტარისტული და რევანშისტული ტენდენციების ზრდა. ამას, კერძოდ, მოწმობს დასავლეთ გერმანიის ახალი მთავრობის საპროგრამო განცხადება, რომელსაც თავისი საქმიანობის ქვაკუთხედად მიაჩნია ბუნდესერის აღჭურვა ატომური იარაღით, ევროპაში არსებული საზღვრების მოშლა, სოციალისტური და ბევრი სხვა სახელმწიფოს წინააღმდეგ აგრესიული კურსის განხორციელება“.

საბჭოთა კავშირში და საზღვარგარეთ დიდი ყურადღება მიიპყრო აზიისა და აფრიკის ქვეყნების მეორე კონფერენციისათვის მზადებამ, რომელიც ალჟირში უნდა გაიმართოს, როგორ არის კონფერენციის მოწვევის საქმე ამჟამად და როგორია მონაწილე სახელმწიფოთა პოზიციები კონფერენციაზე საბჭოთა კავშირის მიწვევის თაობაზე?“ — ეკითხებიან მინისტრს დეპუტატები.

სხდომის თავმჯდომარემ, კავშირის საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ დეპუტატმა მ. ა. სტელმახმა განაცხადა, რომ შეკითხვები სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრს ა. ა. გრომიკოს გადაეცემა რათა უპასუხოს ახლანდელ სესიაზე.

ამით კავშირის საბჭოსა და ეროვნებათა საბჭოს გაერთიანებული სხდომა დამთავრდა. (საკდესი).

მოსკოვი, 7 დეკემბერი. (საკდესი). დღეს საღამოს გაიმართა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პალატების ცალ-ცალკე სხდომები. დაიწყო სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის, სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარის ნ. კ. ბაიბაკოვისა და სსრ კავშირის ფინანსთა მინისტრის დეპუტატ ვ. თ. გარბუზოვის მოხსენებების განხილვა.

კავშირის საბჭოში საბიუჯეტო კომისიის თანამოხსენეა გააკეთა საბიუჯეტო კომისიის წევრმა დეპუტატმა ი. ვ. კაპიტონოვმა. ეროვნებათა საბჭოში საბიუჯეტო კომისიის თანამოხსენება გააკეთა კომისიის თავმჯდომარემ დეპუტატმა მ. ა. იასნოვმა

მოსკოვი, 7 დეკემბერი. (საკდესი). ეროვნებათა საბჭოს დეპუტატებმა მოისმინეს ეკონომიური კომისიის თავმჯდომარის დეპუტატ გ. პ. ბუტენკოს თანამოხსენება.

სესიის დღის წესრიგის პირველი და მეორე საკითხების — „სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1966 წლის სახელმწიფო გეგმა“ და „სსრ კავშირის 1966 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი და სსრ კავშირის 1964 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულება“ — განხილვაში მონაწილეობა მიიღეს უკრაინის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ დეპუტატმა ვ. ვ. შჩერბიცკიმ, ბელორუსიის პროფესიულ კავშირთა რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარემ დეპუტატმა ი. ნ. მაკაროვმა, ყაზახეთის სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტმა დეპუტატმა შ. ჩ. ჩოკინმა. ლენინგრადის მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ დეპუტატმა გ. ი. კოზლოვმა, მოსკოვის საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ დეპუტატმა ვ. თ. პრომისლოვმა, ბელორუსიის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ დეპუტატმა ვ. ე. ლობანოვმა, უკრაინის კომპარტიის კიევის საოლქო კომიტეტის პირველმა მდივანმა დეპუტატმა ვ. ი. დროზდენკომ.

ამით დამთავრდა პალატების საღამოს სხდომები. 8 დეკემბერს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესია მუშაობას განაგრძობს.

ა. ნ. კოსიგინმა მიიღო დ. რესტონი

6 დეკემბერს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ა. ნ. კოსიგინმა მიიღო მოსკოვში მყოფი გაზეთ „ნიუ-იორკ ტაიმსის“ პოლიტიკური მიმომხილველი დ. რესტონი მისი თხოვნით. საუბარი დრეს ა. ნ. კოსიგინმა უპასუხა დ. რესტონს კითხვებზე. საუბარს დასწრო სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს „პრესის განყოფილების გამგე ლ. მ. ზამიატინი. (საკდესი).

საზეიმო კრება

მშვიდობისათვის, ეროვნული დამოუკიდებლობისა და თანასწორუფლებიანობისათვის ბრძოლის კეთილშობილური იდეებისადმი ერთგულება კვლავ დაამტკიცეს საბჭოთა ქალებმა, რომლებიც 6 დეკემბერს შეიკრიბნენ კავშირების სახლის ხვეტებიან დარბაზში.

ქალთა საერთაშორისო დემოკრატიული ფედერაციის განვითარების ოცი წლის გზას მიუძღვნა თავისი მოხსენება ამ ორგანიზაციის ვიცე-პრეზიდენტმა, საბჭოთა ქალების კომიტეტის თავმჯდომარემ ნ. ვ. პოპოვამ.

სსრ კავშირის ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს ცნობა

ხორცისა და რძის მრეწველობის მუშაკებმა ვადამდე შეასრულეს ნედლეულის სახელმწიფო რესურსებისაგან ძირითად სახეობათა პროდუქციის წარმოების წლიური გეგმა. ხორცისა და მოუხდელი რძის პროდუქციის წარმოების გეგმა შესრულდა ნოემბრის დამლევს, კარაქისა — სექტემბერში.

შარშანდელთან შედარებით ხორცის წარმოება გაიზრდება 29 პროცენტით, კარაქისა — 28 პროცენტით, მოუხდელი რძის პროდუქციისა — 12 პროცენტით.

საკდესის ცნობა

სადგურმა „ლუნა-9-“მ ფრენა დაამთავრა

1965 წლის 7 დეკემბერს, 00 საათზე, 51 წუთსა და 30 წამზე მოსკოვის დროით აკრომატურმა სადგურმა „ლუნა-9“-მ მიაღწია მთვარის ზედაპირს წერტილში, რომლის კოორდინატებია: ჩრდილოეთი განედის 9 გრადუსი და 8 მინუტი და გრძედის მინუს 63 გრადუსი და 18 მინუტი.

მთვარესთან სადგურის მიახლოებისას კომპლექსურად შემოწმდა, იმ სისტემების მუშაობა, რომლებიც უზრუნველყოფენ ნარნარ დაჯდომას. შემოწმებამ ცხადყო, რომ ნორმალურად მუშაობდა სადგურის სისტემები მთვარეზე დაჯდომის ყველა ეტაპზე, გარდა საბოლოო ეტაპისა.

სადგურ „ლუნა-9“-ის ფრენის შედეგად გადადგმულია შემდგომი ნაბიჯი ნარ-ნარი დაჯდომის განხორციელების გზაზე.

ბოლნისელმა მეთამბაქოეებმა შეასრულეს გეგმა

ბოლნისის რაიონის მეურნეობებმა, რომლებმაც შეჯიბრება გაიმართეს სკკპ XXIII ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXIII ყრილობის აღსანიშნავად, 6 დეკემბრისათვის შეასრულეს სახელმწიფოსათვის თამბაქოს ნედლეულის მიყიდვის წლიური გეგმა. სახელმწიფოს მიეყიდა 7.251 ცენტნერი თამბაქო.

უხვი მოსავლის მიღებასა და თამბაქოს დამზადებაში თავი გამოიჩინეს სოფელ ფახრალოს კოლმეურნეობა „გაძარკვებამ“, სოფლების სარაჩლოს რუსთაველის სახელობის, ქოჩულოს 26 კომისრის სახელობის, ქოშაქალისის პარტიის XIX ყრილობის სახელობის, იმირასონის კალინინის სახელობის კოლმეურნეობებმა, კაზრეთის კოლმეურნეობა „ოქტომბერმა“ და სხვ.

რაიონის სოფლის მშრომელებმა აწონ-დაწონეს თავიანთი შესაძლებლობანი და ვალდებულება იკისრეს მიჰყიდონ სახელმწიფოს კიდევ 2 ათასი ცენტნერი თამბაქოს ნედლეული. (საკდესი).

სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1966 წლის სახელმწიფო გეგმის შესახებ

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის ნ. კ. ბაიბაკოვის მოხსენება

ამხანაგო დეპუტატებო!

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს შემოაქვს უმაღლესი საბჭოს განსახილველად სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1966 წლის სახელმწიფო გეგმის პროექტი.

მთავრდება 1965 წელი — შვიდწლედის უკანასკნელი წელი. იგი ჩვენი საბჭოთა ისტორიაში შევა როგორც წელი დიდი გარდაქმნებისა ჩვენი ქვეყნის პოლიტიკურ, საზოგადოებრივ და ეკონომიურ ცხოვრებაში.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის მარტისა და სექტემბრის პლენუმებზე მიღებული გადაწყვეტილებანი სოფლის მეურნეობის შემდგომი აღმავლობის გადაუდებელ ღონისძიებათა შესახებ, მრეწველობის მართვის გაუმჯობესების, დაგეგმვის სრულყოფისა და სამრეწველო წარმოების ეკონომიური სტიმულირების გაძლიერების შესახებ შორს სცილდება მარტო მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის განვითარების პრობლემების ჩარჩოებს. ისინი უეჭველია დიდ როლს შეასრულებენ საბჭოთა კავშირის მთელი ეკონომიკის განვითარების დაჩქარებაში, ხელს შეუწყობენ კომუნისტური მშენებლობის ამოცანების უფრო წარმატებით განხორციელებას.

ამ გადაწყვეტილებათა განხორციელება, რომლებსაც მთელმა საბჭოთა ხალხმა დაუჭირა მხარი, საშუალებას მოგვცემს უკეთ გამოვიყენოთ სოციალისტური სისტემის უპირატესობანი, წარმატებით შეკავშიროთ ჩვენი ქვეყნის წინაშე მდგომი უმნიშვნელოვანესი ამოცანები ტექნიკური პროგრესის დასაჩქარებლად, საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის ასამაღლებლად და ხალხის კეთილდღეობის შემდგომ განუმტკიცებელად.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ახლანდელი სესია შეიკრიბა ყველა შრომელთა ახალი შემოქმედებითი აღმავლობის კვითარებაში. საწარმოთა და მშენებლობათა, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების კოლექტივები ფართოდ აჩაღებენ სოციალისტურ შეჯიბრებას, ცდილობენ ღირსეულად შეხვდნენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXIII ყრილობას ახალი წარმატებებით კომუნისტურ მშენებლობაში.

წელს მოწეულია ბამბის უხვი მოსავალი. ხამი ბამბა დამზადდება გაცილებით მეტი, ვიდრე ოდესმე წინათ.

შაქრის ჭარხლისა და მზესუზნაურას საერთო მოსავალი ბევრად აღემატება 1959-1964 წლების საშუალო წლიურ მოსავალს. გაზრდა აგრეთვე კარტოფილის და ბოსტნეულის წარმოება.

ყოველივე ეს ცხადყოფს, თუ რა დიდი რეზერვები გვაქვს სოფლის მეურნეობაში პროდუქციის წარმოების, გადიდებისათვის.

ჩვენი ქვეყნის კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა მნიშვნელოვანი წარმატებანი მოიპოვეს მეცხოველეობის განვითარებაში. მეცხოველეობის პროდუქციის შესყიდვის წლიური გეგმა ვადამდე შესრულდა. მიმდინარე წლის 11 თვეში სახელმწიფომ მიიღო 7,2 მილიონი ტონით მეტი ხორცი, 1 მილიონი ტონით მეტი ხორცი, 2,2 მილიარდი ცალით მეტი კვერცხი, ვიდრე შესყიდული იყო შარშან ამ ხნის განმავლობაში.

გაიზარდა პირუტყვისა და ფრინველის სულადობა კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში, აგრეთვე კოლმეურნეთა, მუშათა და მოსამსახურეთა მეურნეობებში, რასაც ხელი შეუწყო იმან, რომ მთავრობამ გაუქმა პირადი დამხმარე მეურნეობის დაუსაბუთებელი შეზღუდვები.

ამის შედეგად, უნდა ითქვას, რომ სოფლის მეურნეობის საერთო პროდუქცია თუმცა რამდენადმე ნაკლები იქნება 1965 წელს, ვიდრე მოსავლიან 1964 წელს, მაგრამ მისი მოცულობა გადააჭარბებს აღრე ყოველ სხვა წელს მიღწეულ დონეს.

პარტიისა და მთავრობის მიერ განხორციელებულ ღონისძიებათა საფუძველზე მიმდინარე წელს შესამჩნევად ამაღლდა კოლმეურნეთა და საბჭოთა მეურნეობების მუშაკთა ცხოვრების დონე, გაიზარდა კოლმეურნეთა შრომის ანაზღაურება, გადიდდა ანუყოფილი და საბრონეული ფონდები, განმტკიცდა კოლმეურნეობათა ფინანსური მდგომარეობა. მაგრამ ჯერ კიდევ ვერ მიეღწიათ ბევრი საბჭოთა მეურნეობის რენტაბელობის გადიდებას. ეს საქმე ყველგან კარგად რრდა კოლმეურნეობებიც.

1965 წელს სახელმწიფო კაპიტალურ დაბანდებათა მოცულობა მთლიანად სახალხო მეურნეობაში გაიზრდება დაახლოებით 9 პროცენტით 1964 წელთან შედარებით. ამასთან ძირითადი ფონდების ამოქმედება გადიდდება 7 პროცენტით.

ამავე დროს ძირითადი საწარმოო ფონდების ამოქმედების გეგმა არ სრულდება დამაკმაყოფილებლად. განსაკუთრებით ცუდად არის საქმე ალაგებული ამუშავების საქმე ქიმიურ მრეწველობასა და შავ მეტალურგიაში, აგრეთვე მსუბუქ და კვების მრეწველობასა და სოფლის მეურნეობაში.

1965 წელს ხორციელდება სახელმწიფო გეგმით გათვალისწინებული დიდი ღონისძიებანი ხალხის ცხოვრების დონის ამაღლების დარგში. მიმდინარე წელს მუშა-მოსამსახურეთა რიცხვი გაიზრდება 3,6 მილიონით, ხოლო მათი ხელფასი გადიდდება 5,5 პროცენტით გეგმით გათვალისწინებული 4,5 პროცენტის ნაცვლად. 1965 წელს დამთავრდა განათლების, ჯანმრთელობის დაცვის, კულტურის, საბინაო-კომუნალურ-მეურნეობის, ვაჭრობისა და სხვა იმ მუშაკთა ხელფასის შარშან დაწყებული მომატება, რომლებიც უშუალოდ ემსახურებიან მოსახლეობას. ამის შედეგად, დაახლოებით 20 მილიონ კაცის ხელფასი გაიზიდა 20-22 პროცენტით.

მნიშვნელოვნად გადიდდა მოსახლეობისათვის სახალხო მოხმარების საქონლის მიწოდება, გაუმჯობესდა მოსახლეობის მომარაგება ისეთ სახეობათა პროდუქციით, როგორიც არის ბაქარი, ტკბარეული ზეთი და კარაქი, რძის პროდუქტები. სახელმწიფო და კოოპერაციული ვაჭრობის ხაზით მოსახლეობას მიეყიდება 103,5 მილიარდი მანეთის საქონელი, ანუ 8,2 მილიარდი მანეთით მეტი ღირებულებისა, ვიდრე 1964 წელს. მოსახლეობის მზარდ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად წლის განმავლობაში დამატებით გამოინახა 2 მილიარდ მანეთისაზე მეტი სასაქონლო რესურსები, როგორც მოგეხსენებათ, სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს გადაწყვეტილებით 1965 წელს შემცირდა სახალხო მოხმარების სხვადასხვა საქონლის საცალო ფასები. ამ შემცირებით მოსახლეობამ 1,2 მილიარდ მანეთზე მეტი მოიგო. წელიწადზე გაანგარიშებით. გამოცოცხლდა ვაჭრობა საკოლმეურნეო ბაზრებშიც, რამაც გამოიწვია საბაზრო ფასების შემცირება.

1965 წელს განვითარდა დიდი მუშაობა საბინაო-კომუნალური მშენებლობის ხაზით. წელს საექსპლოატაციოდ გადაეცემა 80 მილიონ კვადრატულ მეტრზე მეტი საერთო ფართობის საცხოვრებელი სახლები, ესე იგი 1964 წელთან შედარებით გაიზრდება 7 პროცენტით და მეტით. ეს ციფრები უფრო მეტი იქნებოდა, ყველა მოკავშირე რესპუბლიკას რომ უზრუნველეყო საცხოვრებელი ფართობის საექსპლოატაციოდ გადაცემის კვლის შესრულება. საბინაო მშენებლობის გეგმა ვერ სრულდება რუსეთის ფედერაციაში, თურქმენეთისა და საქართველოს სს რესპუბლიკებში.

მიმდინარე წელს მნიშვნელოვნად გაიზრდება სახალხო განათლების, კულტურის, ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის ხარჯები. გაფართოვდება სკოლამდელ ბავშვთა დაწესებულებების, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების, საავადმყოფოებისა და სხვა სოციალურ-კულტურული დაწესებულებების ქსელი.

ყველა სახეობის ტრანსპორტი ტვირთბრუნვის გეგმას შეასრულებს დაახლოებით 2,5 პროცენტის გადაჭარბებით, ამასთან ტვირთბრუნვა 1964 წელთან შედარებით გაიზრდება 9,8 პროცენტით.

მიმდინარე წელს გრძელდებოდა საწარმოო პროცესების მექანიზაციისა და ავტომატიზაციის, წარმოების ტექნოლოგიისა და ორგანიზაციის სრულყოფის სამუშაოები. ამის შედეგად შრომის ნაყოფიერება მთელ მრეწველობაში გაიზრდება 4,7 პროცენტით და მშენებლობაში — 6,2 პროცენტით. სამრეწველო პროდუქციის თვითღირებულების შემცირებით მიღებულ დაახლოებით 2 მილიარდ მანეთ ეკონომიას.

სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1965 წლის ძირითადი შედეგების შესახებ

ამხანაგო დეპუტატებო! სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მეხუთე სესიაზე სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ამხ. კოსიგინის მოხსენებაში ჩამოყალიბებელი იყო სახალხო მეურნეობის განვითარების უმნიშვნელოვანესი მიმართულებანი 1965 წლისათვის და საჭიროდ იყო ცნობილი გაძლიერებულიყო საზოგადოებრივი წარმოების ზრდის ტემპები და გამონახულიყო დამატებითი რესურსები საბჭოთა ხალხის ცხოვრების დონის შემდგომი ამაღლების მთელ რიგ დიდმნიშვნელოვან ღონისძიებათა განსახორციელებლად.

მიმდინარე წლის გეგმის შესრულების წინასწარი შედეგები საშუალებას იძლევა მოვახსენო სსრ კავშირის უმაღლეს საბჭოს, რომ სახალხო მეურნეობის განვითარების ძირითადი დავალებანი 1965 წელს წარმატებით სრულდება მთლიანად ჩვენს ქვეყანაში და ყველა მოკავშირე რესპუბლიკაში.

მუშების, მოსამსახურეებისა და ინჟინერ-ტექნიკური მუშაკების ბეჯითი შრომის მეოხებით ჩვენმა მრეწველობამ ახალი დიდი ნაბიჯი გადადგა წინ. მთელი მრეწველობის საერთო პროდუქციის წარმოების მატება 1965 წელს შეადგენს 8,5 პროცენტს.

გადაჭარბებით იქნება შესრულებული ბევრი უმნიშვნელოვანესი სახეობის პროდუქციის გამოშვების დავალებანი, რომლებიც დადგენილი იყო 1965 წლისათვის. გეგმის გადაჭარბებით მნიშვნელოვანი რაოდენობით იქნება წარმოებული ფოლადი, ნაგლინი, ნავთობი, გაზი, ქვანახშირი, მანქანათმშენებლობის პროდუქცია და სახალხო მოხმარების საქონელი.

მაგრამ ვერ შესრულდება მინერალური სასუქების, ქიმიური ბოჭკოების, პლასტიკური მასების, ცელულოზისა და ზოგიერთი სხვა სახეობის პროდუქციის წარმოების დავალებანი, რაც გამოწვეულია, უმთავრესად, ახალ სიმძლავრეთა ამუშავების გაჭიანურებით და ისევ ამუშავებულ სიმძლავრეთა ნელი ათვისებით.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის მარტის პლენუმის გადაწყვეტილებათა საფუძველზე მიმდინარე წელს განხორციელდა დიდი ეკონომიური ღონისძიებანი. სოფლის მეურნეობის აღმავლობისათვის.

მიმდინარე წლის ამინდის ძნელ პირობებში კოლმეურნეები, საბჭოთა მეურნეობების მუშები და სპეციალისტები დიდი შეუპოვრობით იბრძოდნენ სასოფლო-სამეურნეო კულტურების კარგი მოსავლის მოყვანისათვის და მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების გადიდებისათვის.

მაგრამ, მთელ რიგ მსხვილ სამიწათმოქმედო რაიონებში გვალვის შედეგად, მარცვლეული კულტურების დამზადების გეგმა მთლიანად ვერ შესრულდება.

იმის გამო, რომ მოსავლის კარგი პირი არ უჩანდა, ჩვენი პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და მთავრობამ დროზე გახსნა რეზერვები საჭირო ღონისძიებანი, რომლებიც უზრუნველყოფენ მოსახლეობის ნორმალურ მომარაგებას პურით, ბეღლეულეულით და ფქვილის ნაწარმით 1966 წელს, ამასთან გაუმჯობესდა ამ პროდუქტების ხარისხი. სხვა სასოფლო-სამეურნეო კულტურების კარგი მოსავალია მიღებული, რაც აღემატება 1959-1964 წლების საშუალო წლიურ მაჩვენებელს.

ჩვენი ქვეყნის მებამბეთა ბეჯითი შრომის შედეგად მიმდინარე

სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1966 წლის სახელმწიფო გეგმის შესახებ

(გაგრძელება)

ჩვენი წარმატებები უდავოა. მაგრამ ჩვენ შეგვიძლია ვიმუშაოთ და კიდევაც უნდა ვიმუშაოთ ბევრად უკეთ, უფრო სრულად გამოვავლინოთ არსებული რეზერვები და უფრო ეფექტიანად გამოვიყენოთ ისინი საბჭოთა ეკონომიკის განვითარების ტემპების დაჩქარებისა და ხალხის კეთილდღეობის კეთილსაყოფილებისათვის. საქმის ამ მხარეს განსაკუთრებული ყურადღება ეძიქცა სკკპ ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმსა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მეექვსე სესიაზე. ჩვენ მთლიანად ვერ შევასრულეთ მსუბუქი, კვების, ქიმიური, ბაზის, სატყეო და ქაღალდის, საშენ მასალათა მრეწველობის განვითარების შვიდწლიდის დავალები, თუმცა მთლიანად სამრეწველო პროდუქციის წარმოების შვიდწლიანი გეგმა გადაჭარბებით შესრულდება. ამ უკანასკნელ წლებში შენელდა სოფლის მეურნეობის განვითარების ტემპები. ვერ შესრულდა მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის პროდუქციის წარმოების ზრდის დავალებანი, რომლებიც შვიდწლიანი გეგმით იყო დასახული.

ნელა ხდება ნაკლოვანებათა აღმოფხვრა კაპიტალურ მშენებლობაში. უზრუნველყოფილი არ არის მატერიალური, ფინანსური და შრომითი რესურსების საჭირო კონცენტრაცია ასამუშავებელ და უმნიშვნელოვანეს მშენებლობებზე, მთელ რიგ შემთხვევებში ცუდად არის ორგანიზებული სამშენებლო წარმოება, დამაკმაყოფილებლად არ არის გამოყენებული სამშენებლო ტექნიკა, დიდია მუშების მოცდენა, ირღვევა მასალებისა და მოწყობილობის მიწოდების ვადები და რიგითობა, რაც აჭიანურებს მშენებლობის ვადებს და იწვევს სამშენებლო და სამონტაჟო სამუშაოთა გაძვირებას.

მრეწველობაში, სოფლის მეურნეობასა და მშენებლობაში აღნიშნულ ნაკლოვანებათა არსებობა მოითხოვს, რომ მომავალ წელს რაც შეიძლება მალე განხორციელდეს გადამწყვეტი ღონისძიებანი სამეურნეო ხელმძღვანელობის დონის ასამაღლებლად, სახალხო მეურნეობის ყველა რგოლში სახელმწიფო დისციპლინის განსამტკიცებლად და დაგეგმვის გასაუმჯობესებლად.

სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების მთავარი ამოცანები და ძირითადი მიმართულებანი 1966 წელს

ამხანაგო დეპუტატებო! 1966 წელს ჩვენთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს — ეს ახალი ხუთწლედის პირველი წელია.

ამ წლის დასაწყისი აღინიშნება ჩვენი პარტიის XXIII ყრილობის მოწვევით, რომელიც განიხილავს საბჭოთა კავშირის განვითარების პერსპექტივებს მომავალი ხუთწლეულისათვის. მომავალი წელი იქნება ეკონომიკურ მრეწველობის მართვის ახალ ფორმებზე გადასვლის, სოფლის მეურნეობის განვითარების იმ ფართო პროგრამის შემდგომი განხორციელების წელი, რომელიც პარტიამ დასახა, და სამრეწველო წარმოების ეკონომიური სტიმულირების გაძლიერების ღონისძიებათა დანერგვის დასაწყისი.

1966 წლის გეგმის მთავარი ამოცანებია სოფლის მეურნეობის აღმავლობის უზრუნველყოფა, მრეწველობის იმ დარგების უპირატესი განვითარება, რომლებიც უზრუნველყოფენ ტექნიკურ პროგრესსა და შრომის ნაყოფიერების ზრდას მთელ სახალხო მეურნეობაში, მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევათა უსწრაფესად დანერგვა და ხალხის ცხოვრების დონის შემდგომი ამაღლება.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის მარტის პლენუმის გადაწყვეტილებათა შესაბამისად გეგმის პროექტი ითვალისწინებს სოფლის მეურნეობის განვითარებას მოხმარიან ჩვენი ქვეყნის მატერიალური და ფინანსური რესურსების მატების მნიშვნელოვანი ნაწილი.

დასახული მნიშვნელოვნად გადიდდეს სახსრები სასოფლო-სამეურნეო მშენებლობისათვის, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცებისათვის, იმ ხარჯებისათვის, რომლებიც დაკავშირებულია პირუტყვის შესასყიდი ფასების დანამატებთან. ამასთან ერთად გათვალისწინებულია კოლმეურნეობების საშემოსავლო გადასახადის შემცირება და სოფელ ადგილზე სამრეწველო და სასურსათო საქონლის იმ ფასების გაერკვევა, რომლიც ქალაქში მოქმედებს. მომავალ წელს სოფლის მეურნეობის მთლიანი პროდუქცია უნდა გაიზარდოს 8-10 პროცენტით.

გეგმის ძირითად მაჩვენებლებს ახასიათებს შემდეგი მონაცემები.

მრეწველობის საერთო პროდუქცია 1965 წელთან შედარებით გაიზრდება 6,7 პროცენტით (დაგეგმილი წრის მიხედვით), აქედან წარმოების საშუალებათა წარმოება (ჯგუფი „ა") გადიდდება 6,9 პროცენტით და მოხმარების საგნების წარმოება (ჯგუფი „ბ") — 6 პროცენტით.

1966 წლის გეგმის პროექტით გათვალისწინებული სამრეწველო პროდუქციის ზრდის ტემპები განსაზღვრულია სასოფლო-სამეურნეო ხელოვნის 1965 წელს მიღებული რესურსების გათვალისწინებით.

მხედველობაში უნდა ვიქონიოთ ავრეთვე, რომ სამრეწველო წარმოების ზრდის ტემპებზე გავლენას ახდენს ის გარემოებაც, რომ მომავალ წელს სამუშაო დროის ფონდი სამი დღით ნაკლები იქნება.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმის გადაწყვეტილებათა პრაქტიკული განხორციელება საშუალებელს გახდის გამოვავლინოთ წარმოების დამატებითი რეზერვები, რის გამო 1966 წლისათვის დასახული სამრეწველო წარმოების ზრდის ტემპს, უნდა ვიფიქროთ, მნიშვნელოვნად გადავაჭარბები.

გეგმის პროექტით გათვალისწინებულია გადიდდეს ეროვნული შემოსავალი 6,4 პროცენტით 1965 წელს მოსალოდნელ 6 პროცენტ მატებასთან შედარებით. ამასთან მოხმარების ფონდი გაიზრდება 6,8 პროცენტით, ხოლო მისი წილი ეროვნულ შემოსავალში გადიდდება დაახლოებით 73 პროცენტით.

თუ გავითვალისწინებთ, რომ დაგროვების ფონდის ნაწილი ხმარდება ბინებისა, საავადმყოფოების, სკოლებისა და იმ სხვა დაწესებულებათა მშენებლობას, რომლებიც მოსახლეობის უწევენ მომსახურებას, ხალხის მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებისათვის გათვალისწინებული მთელი მატერიალური დოვლათი ეროვნული შემოსავლის დაახლოებით 80 პროცენტს მიაღწევს.

ამხანაგო დეპუტატებო! თქვენ დაგირიგდათ 1966 წლის გეგმის მასალები. მათში მოყვანილია საბჭოთა კავშირის ეკონომიკისა და კულტურის განვითარების ძირითადი მაჩვენებლები. ამიტომ ჩვენ მოხსენებაში დაწერილებით არ მოვიყვან გეგმის ყველა ციფრს, არამედ დავჯერდები მხოლოდ მის ძირითად დავალებათა დახასიათებას.

მრეწველობისა და ტრანსპორტის განვითარება

დავიწყებ მრეწველობით, რომელიც იყო და არის მთელი სოციალისტური ეკონომიკის განვითარების, ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესებისა და ჩვენი ქვეყნის თავდაცვითი ძლიერების განმტკიცების საფუძველი.

1966 წლის გეგმით დასახულია სამრეწველო პროდუქციის წარმოების შემდგომი გადიდება და მისი ხარისხის გაუმჯობესება. ამასთან მრეწველობის განვითარების დავალებანი, რომლებიც გეგმის პროექტით არის გათვალისწინებული, შემუშავებულია სამრეწველო წარმოების სტრუქტურის სრულყოფის, ტექნიკური პროგრესის დაჩქარებისა და არსებული საწარმოო ფონდების გამოყენების გაუმჯობესების გათვალისწინებით.

მრეწველობის პროდუქციის მატება უმნიშვნელოვანესი დარგების მიხედვით 1966 წელს გათვალისწინებულია შემდეგი ოდენობით (პროცენტობით 1965 წელთან შედარებით):

ელექტროენერგეტიკა	11,3
მეტალურგია	6,4
ნავთობისა და გაზის მრეწველობა	12,3
ქიმიური მრეწველობა	12,0
მანქანათმშენებლობა და ლითონდამუშავება	9,1
მოხმარების საგნების წარმოება	6,0

მომავალ წელს ელექტროენერგიის წარმოება გაიზრდება 560,5 მილიარდ კილოვატ-საათამდე, რაც საშუალებას მოგვცემს გავადიდოთ შრომის ენერგოდაზოგვა. ამასთან ელექტროენერგიის მოხმარება სოფლის მეურნეობაში გადიდდება 18 პროცენტით.

ამდენი ელექტროენერგია რომ გამოვიმუშაოთ და სსრ კავშირის ეროვნული ნაწილის ენერგეტიკული ბაზა გავაფართოოთ, გათვალისწინებულია ამუშავდეს 10 მილიონ კილოვატზე მეტი ახალი სიმძლავრეები. ჩვენი ქვეყნის ყველა ელექტროსადგურის დადგენილი სიმძლავრე 1966 წლის დამლევისათვის 124 მილიონ კილოვატს მიაღწევს.

აშენდება 30 ათასი კილომეტრი სიგრძის მაღალი ძაბვის ელექტროგადაცემის ხაზები. განსრახულია დასავლეთ უკრაინისა და ჩრდილოეთ კავკასიის ენერგოსისტემები გაერთიანდეს სამხრეთის ენერგოსისტემასთან.

სათბობის მრეწველობის გეგმა შედგენილია იმ ამოცანის გათვალისწინებით, რომ უფრო სრულად დაკმაყოფილდეს სახალხო მეურნეობის მოთხოვნილებანი სათბობზე. 1966 წელს განზრახულია ნავთობის მოპოვება გაიზარდოს 264 მილიონ ტონამდე, გაზისა — 148 მილიარდ კუბურ მეტრამდე, ქვანახშირისა — 598 მილიონ ტონამდე. გარდა ამისა, გათვალისწინებულია ეაწარმოოთ 3 მილიონ ტონაზე მეტი თხევადი გაზი.

ნავთობისა და გაზის ხვედრითი წონა სათბობის საერთო წარმოებაში ამის შედეგად გაიზრდება 1 პროცენტით და მეტით და მიაღწევს 53,5 პროცენტს.

მაგრამ სათბობის მოპოვების გათვალისწინებული ოდენობის დროსაც ჯერ კიდევ გვექნება კრთგვარი დაძაბულობა სახალხო მეურნეობის უზრუნველყოფაში, ცალკეულ სახეობათა ნავთობპროდუქტებით, აგრეთვე სსრ კავშირის ევროპული ნაწილის რაიონებისა — ქვანახშირისა. ეს იქნებეს ნავთობის, გაზისა და ქვანახშირის მრეწველობის მუშაკებს არა მარტო უზრუნველყონ სათბობის მოპოვების დასახულ დავალებათა შესრულება, არამედ მიაღწინონ მათ გადაჭარბებასაც.

ამასთან დაკავშირებით განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექციოთ შინაგანი რეზერვების მობილიზაციას, მოცდენილი კაბიტრილების ამუშავებასა და ახალი ნავთობგაზმომპოვებელი რაიონების უფრო აქტიურ ათვისებას ტიუმენის ოლქში, დასავლეთ ყაზახეთის მანგიშლაყის ნახევარკუნძულზე, რომლებსაც გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვთ ჩვენს ქვეყანაში ნავთობისა და გაზის მრეწველობის შემდგომი განვითარებისათვის.

ნავთობისა და გაზის მოპოვების, აგრეთვე ნავთობპროდუქტების წარმოებია დასახული დონეების მიღწევისათვის გათვალისწინებულია სიექსპლოატაციოდ გადაიცეს ნავთობისა და გაზის 3.500-ზე მეტი ჭაბურღილი, ნავთობის პირველადი გადამუშავების ახალი სიმძლავრეები, 4,3 ათასი კილომეტრი საერთო სიგრძის მაგისტრალური გაზსადენები განზოგებებისად. ქვანახშირის მოპოვება დაგეგმილ მოცულობამდე რომ ავიყვანოთ, გათვალისწინებულია ქვანახშირის შახტებისა და ჭრილების სიმძლავრის გადიდება 20 მილიონ ტონით.

1966 წლის გეგმით განზრახულია გაღიდდეს თუჯის გამოდნობა 6,4 პროცენტით, ფოლადისა — 6,3 პროცენტით, ნაგლინის წარმოება — 7 პროცენტით და ფოლადის მილებისა — 9,7 პროცენტით. როცა ნაგლინის წარმოების მოცულობა დადგენილია 75,6 მილიონ ტონის და ფოლადის მილებისა — 9,8 მილიონ ტონის რაოდენობით, ლითონისა და მილების ბალანსი რამდენადმე დაძაბულია. ეს გვაიძულებს უფრო მომჭირნეობით ვხარჯოთ აღნიშნული მასალები და გამოვნახოთ მათი წარმოების გადიდების გზები.

უნდა აღინიშნოს, რომ შავი მეტალურგიის ზრდა უკანასკნელ წლებში რამდენადმე ჩამორჩება მრეწველობის სხვა დარგების მზარდ მოთხოვნილებას ლითონზე. ლითონისა და მილების ნაკლებობა ამჟამად აფერხებს მანქანათმშენებლობის, ნავთობისა და გაზის მრეწველობის, აგრეთვე საირიგაციო მშენებლობის განვითარების ტემპებს.

სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების სახელმწიფო გეგმის განხილვის დროს სკკპ ცენტრალურ კომიტეტსა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოში ერთხელ კიდევ გადიდდეს 1966 წელს კაპიტალურ დაბანდებათა მოცულობა შავი მეტალურგიის განვითარებისათვის 100 მილიონი მანეთით და დაწესდეს იგი 1.713 მილიონ მანეთის ოდენობით, რათა დაჩქარდეს დიდძნიშვნელოვანი მეტალურგიული ობიექტების ამუშავება. ახლა სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტი სსრ კავშირის შავი მეტალურგიის სამინისტროსთან და მოკავშირე რესპუბლიკებთან ერთად ამუშავებს ღონისძიებებს, რომლებმაც უნდა უზრუნველყოს 1966 წელს წარმოებისა და ახალ სიმძლავრეთა ამუშავების გეგმის შესრულება. მომავალ ხუთწლეულში დასახულია გაძლიერდეს შავი მეტალურგიის განვითარების ტემპები, გაუმჯობესდეს შავი ლითონების ხარისხი, გაფართოვდეს ნაგლინის, მილებისა და ლითონის ნაკეთობათა სორტამენტი. გათვალისწინებულია აგრეთვე მათი წარმოებას ტექნოლოგიის სრულყოფა.

1966 წელს კიდევ უფრო განვითარდება ქიმიური და ნავთობქიმიური მრეწველობა. ამ დარგების პროდუქცია, როგორც უკვე ვთქვი, 12 პროცენტით გადიდდება. სწრაფი ტემპებით განვითარდება პლასტიკური მასებისა და სინთეზური ფისების წარმოება — 29 პროცენტით, სინთეზური კაუჩუკისა — 14 და მეტი პროცენტით, მინერალური სასუქებისა — 14 პროცენტით. დასახულია 475 ათასი ტონა ქიმიური ბოჭკოს წარმოება, რაც საშუალებას მოგვცემს მნიშვნელოვნად გავაფართოოთ მსუბუქი მრეწველობის ნედლეულის ბაზა და ამით გავადიდოთ იაფი და კარგი ხარისხის ქსოვილების გამოშვება.

აღნიშნული პროდუქციის მატების დასახული ტემპების მიღწევა მნიშვნელოვნად იქნება დამოკიდებული სიმძლავრეთა დროულად ამოქმედებასა და ათვისებაზე. მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ ეს საკითხები ჯერ კიდევ დამაკმაყოფილებლად როდი წყდება.

სერიოზულად ჩამორჩება სიმძლავრეთა ათვისება კუბინშევის, ეფრემოვის, ვოლგის სინთეზური კაუჩუკის ქარხნებში, ვოსკრესენსკის ქიმიურ კომბინატში, სუმგაითისა და სამარყანდის სუპერფოსფატის ქარხნებში, უფის ქიმიურ ქარხანასა და ზოგიერთ სხვა საწარმოში.

ქიმიური მრეწველობის სამინისტრომ და ნავთობგადასამუშავებელი და ნავთობქიმიური მრეწველობის სამინისტრომ საფუძვლიანად უნდა გამოარკვიონ მიზეზები, რატომ ვერ ითვისებენ დამაკმაყოფილებლად ტექნოლოგიურ პროცესებს ახალ საწარმოებში, და უნდა განახორციელონ გადაუდებელი ღონისძიებანი ყველა წარმოების ათვისების დასაჩქარებლად და ახალ სიმძლავრეთა დროზე ამოქმედების უზრუნველსაყოფად.

მანქანათმშენებლობის განვითარებაში 1966 წელს ძირითადი მიმართულება უნდა იყოს ახალი ეკონომიური და ტექნიკურად სრულყოფილი მანქანებისა და მოწყობილობის ათვისება, მათი დამზადების ხარისხის გაუმჯობესება, აუტომობილმშენებლობის, ჩარხმშენებლობის, ხელსაწყოთმშენებლობის, ქიმიური და ნავთობის მანქანათმშენებლობისა და რადიოელექტრონიკის განვითარების უპირატესი ტემპების უზრუნველყოფა.

1966 წელს მანქანათსამშენებლო მრეწველობის უმნიშვნელოვანესი ამოცანაა დაკმაყოფილდეს სოფლის მეურნეობის სულ უფრო მზარდი მოთხოვნილება სასოფლო-სამეურნეო მანქანებსა და სხვა ტექნიკაზე. 1966 წელს გამოშვებულ იქნება 60 ცხენის ძალის სამუალო სიმძლავრის 383,5 ათასი ტრაქტორი, 91,5 ათასი მარცვალასალები კომბაინი, 203 ათასი ტრაქტორის კულტივატორი და ბევრი სხვა სასოფლო-სამეურნეო მანქანა. უნდა ავითვისოთ თითქმის სამოცდაათი სახელწოდების ახალ კონსტრუქციათა სასოფლო-სამეურნეო მანქანების წარმოება და შეექმნათ 370 მანქანა, რომლებიც საჭიროა შრომის კომპლექსური მექანიზაციისათვის სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში.

წლითიწლობით იზრდება სახალხო მეურნეობის მოთხოვნილება ცემენტზე, მინაზე, სახურავსა და სხვა საშენ მასალებზე. 1966 წლის გეგმით დასახულია გამოვუშვათ 78 მილიონი ტონა ცემენტი, ანუ 8,3 პროცენტით მეტი, ვიდრე მიმდინარე წელს, 4,4 მილიარდი ფილა შიფერი, 205 მილიონი კვადრატული მეტრი საფანჯრე მინა, 1 მილიარდ კვადრატულ მეტრზე მეტი რბილი სახურავი მასალა.

მაგრამ უფრო სრულად რომ დაკმაყოფილდეს სახალხო მეურნეობის მზარდი მოთხოვნილებანი საშენ მასალებზე, მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა, სამინისტროებმა და უწყებებმა უნდა გამონახონ შესაძლებლობანი, რომ კიდევ უფრო გადიდდეს მათი წარმოება, განსაკუთრებით ადგილობრივი საშენი მასალების — ადგრის, ტუფის, ნიკარაქვის, კირისა და სხვ. წარმოება. ამასთანავე აუცილებელია უნდა მიექცეს ავრეთვე იმას, რომ საჭიროა მკვეთრად შემცირდეს ცემენტის დანაკარგები წარმოებისა და ტრანსპორტირების დროს, შემცირდეს მშენებლობაში მისი ხარჯვის ნორმები-ქვიშის, ხრეშისა და სხვა ინერტული მასალების ხარისხის გაუმჯობესების გზით.

სატყეო, ქაღალდისა და ხისგადამამუშავებელი მრეწველობის განვითარებისათვის დიდი მნიშვნელობა ექნება მერქნის ქიმიური გადამუშავების ზრდის ტემპების დაჩქარებასა და მერქნის ნარჩენების გამოყენების გაუმჯობესებას. 1966 წლის გეგმით გათვალისწინებულია ხის ბურბუშელის ფილების წარმოება გადიდდეს 285 ათასზე მეტი კუბური მეტრით, ანუ 34 პროცენტით, და გაიზარდოს მათი წარმოების მოცულობა 1,1 მილიონ კუბურ მეტრამდე; ცელულოზის გამოშვება გადიდდეს 750 ათასი ტონით, ანუ 23 პროცენტით, და მიაღწევს დაახლოებით 4 მილიონ ტონას; ქაღალდის წარმოება გადიდდეს 330 ათასი ტონით, ანუ 10,3 პროცენტით, და შეადგენს 3,5 მილიონ ტონაზე მეტს, რაც ძირითადად დაკმაყოფილებს ჩვენი ქვეყნის გადაუდებელ საჭიროებებს. ამასთან სამასალე მერქნის გამოზიდვა მიაღწევს 261 მილიონ კუბურ მეტრს, ანუ 3,6 პროცენტით გაიზრდება.

გეგმაში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა სახალხო მოხმარების საქონლის ასორტიმენტის გაფართოებისა და ხარისხის გაუმჯობესების ღონისძიებებს: ამ მიზნით გათვალისწინებულია გადიდდეს ქიმიური ბოჭკოების, ტყავის მაღალხარისხოვანი შემცველების, უფრო გამდე და მკვეთრი ფერების საღებავების წარმოება და უზრუნველყოფილ იქნას მათი უფრო ფართოდ გამოყენება. მომავალ წელს ჩვენ შევძლებთ მოსახლეობას მიეყიდოთ გაცილებით მეტი საპრანგე ქსოვილი, რომელიც არ იჭმუჭნება, დაჩითული ქსოვილები, ლავსანნარევი შალის ქსოვილები, სინთეზური აბრეშუმის საღამოდე ქსოვილები, კამფოლის საკოსტიუმე ქსოვილები, სხვადასხვა ტრიკოტაჟი; სინთეზური დუბლირებული ქსოვილების ზედა ტანსაცმელი და ფეხსაცმელი. გარდა ამისა, გათვალისწინებულია ავითვისოთ ახალ სახეობათა საპალტოე, საკოსტიუმე და საკაბე შალის ქსოვილების წარმოება ფასონური ნართის გამოყენებით, ფოროვან პოლიმერიანი საფიხსაცმელე ხელოვნური ტყავის წარმოება. გეგმით გათვალისწინებულია გამოვუშვათ 7.900 მილიონი კვადრატული მეტრი ქსოვილები, 1 მილიარდ ცალზე მეტი ტრიკოტაჟის საცვალი და ზედა ტრიკოტაჟი, 510 მილიონი წყვილი ფეხსაცმელი.

დასახულია ვაწარმოოთ 10 მილიარდ მანეთისაზე მეტი კულტურულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულებისა და საოჯახო საქონელი, ანუ 11 პროცენტით მეტი, ვიდრე 1965 წელს. ამასთან ტელევიზორების გამოშვება გადიდდება 17 პროცენტით, მაცივრებისა კი თითქმის 32 პროცენტით.

მთავრობამ განახორციელა ღონისძიებანი, რათა გადიდდეს ისეთი უმნიშვნელოვანესი სასურსათო საქონლის წარმოება, გაფართოვდეს მისი ასორტიმენტი და გაუმჯობესდეს ხარისხი, როგორიც არის მოუხდელი რძის პროდუქცია, ყველი და ბრინზა, მცენარეული ზეთი, კონსერვები და თევზეული, პური და პურ-ფუნთუშეული, საკონდიტრო ნაწარმი და კვების სხვა საქონელი.

სასურსათო საქონლის წარმოების გადიდების მიზნით გეგმა ითვალისწინებს ნედლეულის კომპლექსური და რაციონალური გამოყენების ღონისძიებებს. მკვეთრად შემცირდება მარცვლის ხარჯვა სპირტის წარმოებისათვის, გადიდდება ზეთოვანთა თესლის გადამუშავება ექსტრაქციის მეთოდით, გაუმჯობესდება ცხიმგამოცლილი რძის გამოყენება, უფრო ფართოდ დაინერგება განუწყვეტელი დიფუზიური პროცესები შაქრის ხარშვაში, გადიდდება სიხთეურ სარეცხ საშუალებათა წარმოება.

1966 წელს გათვალისწინებულია ტრანსპორტის შემდგომი კომპლექსური განვითარება, აგრეთვე მისი ტექნიკური ხელახალი აღჭურვა, რათა უკეთ დაკმაყოფილდეს სახალხო მეურნეობისა და მოსახლეობის მოთხოვნილებანი ტვირთზიდვაზე. ყველა სახეობის ტრანსპორტის ტვირთბრუნვა საზოგადოებრივი წარმოების ზრდისა და სათბობ-ენერგეტიკული ბალანსის დასახული სტრუქტურის შესაბამისად 7,1 პროცენტით გადიდდება. ამასთან რკინიგზის ტრანსპორტზე უფრო ეკონომიურ სახეობათა ტრანსპორტის — ელმავლებისა და თბომავლების ტვირთბრუნვის წილი გაიზრდება 90 პროცენტამდე ნაცვლად 1965 წლის 85 პროცენტისა.

1966 წელს საექსპლუატაციოდ გადაეცემა დაახლოებით 1400 კილომეტრი ახალი რკინიგზის ხაზები და ელექტრიფიცირებული იქნება 2.000 კილომეტრზე მეტი რკინიგზები.

კავშირგაბმულობის დარგში დასახული ამოცანებია: ქალაქისა და რაიონიერეს ხაზები, რადიომაუწყებლობისა და ტელევიზიის სადგურები. გაფართოვდება პროგრესულ სახეობათა საელექტროგზიო და რადიოკავშირის გამოყენება დედამიწის ხელოვნური თანამგზავრების საშუალებით.

წარმოების ეკონომიური ეფექტიანობის გადიდების, სახალხო მეურნეობის განვითარების ტემპების დაჩქარებისა და გეგმით დასახულ დავალებათა წარმატებით შესრულების უზრუნველყოფის გადამწყვეტი პირობაა მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარების, მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევათა რაც შეიძლება მალე დანერგვის ღონისძიებათა განხორციელება. საბჭოთა კავშირის გამოცდილება და მსოფლიოს სხვა ინდუსტრიული ქვეყნების გამოცდილება მთელი სიცხადით გვიჩვენებს, რომ წარმოების ეფექტიანობის მაჩვენებელთა, პროდუქციის ხარისხისა და საიმედოობის გაუმჯობესება უმთავრესად დამოკიდებულია ახალი ტექნიკისა და მოწინავე ტექნოლოგიური პროცესების ფართოდ დანერგვაზე.

ამასთანავე, ობიექტური შეფასებისა წესით უნდა აღინიშნოს, რომ ამ დარგში ყველაფერი როდია რიგზე. ხოლო მრეწველობის მთელ რიგ დარგებში ტექნიკური პროგრესის ზრდა რამდენადმე კიდევაც შენელდა. ახლად შექმნილმა დარგობრივმა სამინისტროებმა მოკლე ვადებში უნდა შეიმუშაონ და განახორციელონ კონკრეტული ღონისძიებანი, რომლებიც უზრუნველყოფენ ტექნიკური პროგრესის დაჩქარებას და ახალი ტექნიკის წარმოებისა და დანერგვის გათვალისწინებულ დავალებათა უთუოდ შესრულებას.

1966 წელს გეგმით დასახულია ავითვისოთ 315 ახალი სახეობის მანქანები, ნაწარმისა და მასალების წარმოება, დაენერგოთ დაახლოებით 350 ავტომატური და ნახევრადავტომატური ხაზი, ანუ 1,5-ჯერ მეტი, ვიდრე 1965 წელს. დაგეგმილია წარმოებიდან მოიხსნას 144-ზე მეტი სახეობის მოძველებულ კონსტრუქციათა მანქანები, მოწყობილობა და ხელსაწყოები.

უფრო ფართოდ იქნება გამოყენებული მოწინავე ტექნოლოგიური პროცესები. მაგალითად, ფოლადის გამოდნობა ჟანგბადის გამოყენებით გადიდდება 10 მილიონი ტონით, ამასთან ჟანგბადკონვერტერული ფოლადის გამოდნობა გაიზრდება 1,8-ჯერ და ფოლადის განუწყვეტელი ჩამოსხმა — თითქმის ორჯერ.

კვლავაც განვითარდება ნავთობის ფენებზე ხელოვნური ზემოქმედების გამოყენების სამუშაოები, აგრეთვე განხორციელდება სხვა ტექნიკური ღონისძიებანი ნავთობის მოპოვების ინტენსიფიკაციისა და ფენების ნავთობგამოსაღინებლის გადიდების მიზნით.

დასახულია მანქანათმშენებლობაში დაინერგოს 350 ახალი დანადგარი, მათ შორის ლითონის ელექტროეროზიული, ულტრაბგერითი, შუქური და სხვა პროგრესული წესებით დამუშავების დანადგარები. საფეიქრო მრეწველობაში დაინერგება 116 მანქანა სართავ-საგრეხი პროცესის შესათავსებლად.

წარმოების ეკონომიური ეფექტიანობის გადიდებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს გამსხვილებული აგრეგატების უფრო ფართოდ გამოყენებასა და დანადგართა ერთეული სიმძლავრეების გადიდებას.

მაგრამ სამუშაოები ამ მიმართულებით ჯერჯერობით ნელა წარმოებს. სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს მხედველობაში აქვს სსრ კავშირის სამინისტროებთან და უწყებებთან ერთად უახლოეს ხანში შეიმუშაოს კონკრეტული ღონისძიებანი, რათა მრეწველობასა და მშენებლობაში დაენერგოთ აგრეგატების გამსხვილება, როგორც ეს თავის დროზე ცემენტის მრეწველობაში მოხდა.

მრეწველობაში შრომის ნაყოფიერების ზრდის დავალება გეგმით განსაზღვრულია 4,7 პროცენტის ოდენობით, ამასთან შრომის საღღამისო ნაყოფიერება გადიდდება 5,5 პროცენტით. სამინისტროებმა და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა მეტ ყურადღება უნდა დაუთმონ შრომის ნაყოფიერების გეგმის შესრულებას, მხედველობაში უნდა იქონიონ, რომ ამ ფაქტორის მეშვეობით გათვალისწინებულია მივიღოთ სამრეწველო პროდუქციის მთელი მატების თითქმის 70 პროცენტი ნაცვლად დაახლოებით 60 პროცენტისა, რასაც 1965 წელს მოვიღეთ.

1966 წელს საშუალო ხოგადაგანმანათლებლო სკოლებს წარსული წლებისაგან განსხვავებით გაცილებით მეტი ქალაშვილი და ჭაბუკი დაამთავრებს, ვიდრე მიმდინარე წელს, მე-10 და მე-11 კლასების ერთდროულად გამოშვების გამო. ამასთან დაკავშირებით გეგმით დასახულია გადიდდეს მათი მიღება უმაღლეს და საშუალო სპეციალურ სასწავლებლებსა და პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებლებში.

ამასთანავე მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა და სამინისტროებმა ახლავე უნდა იზრუნონ, რომ მრეწველობაში, სოფლის მეურნეობაში, ტრანსპორტზე, ვაჭრობასა და მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სფეროში სამუშაოდ მოაყენონ საშუალო სკოლის კურსდამთავრებული ქალაშვილები და ჭაბუკები, რათა მთელი ახალგაზრდობა საზოგადოებრივად სასარგებლო შრომას ეწეოდეს.

გეგმით გათვალისწინებულია სახელმწიფო მრეწველობის 1 მანეთის სასაქონლო პროდუქციაზე დანახარჯები შემცირდეს დაახლოებით 1,3 პროცენტით, რაც რამდენადმე აღემატება მიმდინარე წელს მიღწეულ თვითღირებულების შემცირების დონეს.

იმისათვის, რომ შეასრულონ ეს დავალება, მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა, სამინისტროებმა და უწყებებმა უნდა შეიმუშაონ და განახორციელონ კონკრეტული ორგანიზაციულ-ტექნიკური ღონისძიებანი, რომელთა მიზანია მატერიალური და შრომითი რესურსების უფრო ეკონომიური გამოყენება.

უნდა ითქვას, რომ ჩვენში ჯერ კიდევ დიდია ბევრი სახეობის ნედლეულისა და სათბობის ხარჯვა პროდუქციის ერთეულზე. ეს განსაკუთრებით ეხება ლითონის ხარჯვას მანქანათმშენებლობაში, სადაც მისი გამოყენების კოეფიციენტი მხოლოდ 0,6-ს შეადგენს.

მრეწველობაში ნედლეულის, მასალების, სათბობისა და ელექტროენერგიის ეკონომია წარმოების შემდგომი ზრდის დიდი რეზერვია. ამასთან ერთად 1966 წლის გეგმის შესრულებისათვის დიდი მნიშვნელობა ექნება ახალ სამძლავრეთა ათვისების დაჩქარებას, საწარმოო ფონდების გამოყენების გაუმჯობესებას, დაუდგმელი მოწყობილობის მარაგისა და მატერიალურ ფასეულობათა ზენორმატიული მარაგის შემცირებას.

ყოველივე ეს მოწმობს, რომ ჩვენ დიდი მუშაობა უნდა გაეწიოთ მატერიალური რესურსების უფრო ეფექტიანი გამოყენებისა და მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების ორგანიზაციის გაუმჯობესებისათვის. როგორც ცნობილია, პარტიამ და მთავრობამ მიიღეს გადაწყვეტილებანი სახალხო მეურნეობის მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების ორგანიზაციის გაუმჯობესების შესახებ. შექმნილია სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მატერიალურ-ტექნიკური მომარაგებისა საკავშირო-რესპუბლიკური სახელმწიფო კომიტეტი, რომელსაც ადგილებზე აქვს მომარაგების სამმართველოები. მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების სახელმწიფო კომიტეტმა და მისმა ორგანიზაციებმა სამინისტროებთან და უწყებებთან მჭიდრო კონტაქტით უნდა უზრუნველყონ საწარმოთა შეუფერხებელი მატერიალურ-ტექნიკური მომარაგება და ნედლეულის, მასალების, სათბობისა და მოწყობილობის მომჭირნეობით გამოყენება.

ამხანაგო დეპუტატებო! ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმის გადაწყვეტილებებში განსაზღვრულია სამეურნეო ხელმძღვანელობის ახალი სისტემის უმნიშვნელოვანესი პრინციპები. მოცემულია დიდძალი ორგანიზაციული, სამეურნეო და ეკონომიური პრობლემების შემდგომი დამუშავების ამოსავალი ბაზა შეძენილი გამოცდილების გათვალისწინებით. 1966 წელს სეზონიული ნაბიჯი უნდა გადადგას სამრეწველო წარმოების დაგეგმვისა და ეკონომიური სტიმულირების ახალი მეთოდების დანერგვის საქმეში.

ამ ბოლო დროს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მოსდის წინადადებანი, რომ ცალკეულ საწარმოებში ახალ სისტემაზე გადაკიდეთ 1966 წლის დადგენილებიდან. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ განხილა ეს წინადადებანი და დაადგინა სსრ კავშირის მინისტრებს წარმოადგინონ იმ საწარმოთა ნუსხა, რომლებიც მიზანშეწონილია პირველ რიგში იქნან გადაყვანილი დაგეგმვისა და ეკონომიური სტიმულირების ახალ სისტემაზე. იგულისხმება უკვე 1966 წლის დამდეგს გადავიყვანოთ ახალ სისტემაზე საწარმოთა ჯგუფი, რათა შემდეგ გამოცდილების შეძენის კვალობაზე თანდათანობით გავადიდ

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მეშვიდე სესია

სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1966 წლის სახელმწიფო გეგმის შესახებ

ეროვნული ბიბლიოთეკა

(დასასრული)

დაახლოებით 15 ათას ექსკავატორს, 13 ათას ბულდოზერსა და 5,5 ათას სკრეპერს.

ამრიგად, 1966 წლის გეგმით გათვალისწინებულია ფინანსური და მატერიალურ-ტექნიკური საშუალებების მნიშვნელოვანი ხარჯვა სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის. ამოცანა ის არის, რომ ყველაზე ეფექტიანად და რაციონალურად გამოვიყენოთ გამოყოფილი საშუალებები და ტექნიკა. არ შეიძლება შეეურიგდეთ იმას, რომ ჩვენი ქვეყნის ბევრ კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაში ჯერ კიდევ საკმაოდ კარგად ვერ იყენებენ გამოყოფილ კაპიტალურ დაბანდებებს, მინერალურ სასუქებს, ტექნიკას, აგრეთვე სახნავ და ირიგაციულად მომზადებულ მიწებს, ჯეროვნად არ უვლიან მდელოებსა და საძოვრებს.

სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტრომ, სსრ კავშირის მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტრომ და მათმა აღგილობრივმა ორგანოებმა მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებთან ერთად უნდა განახორციელონ დამატებითი ღონისძიებანი სოფლის მეურნეობაში არსებული და ამომრობილი მიწების, აგრეთვე სახელმწიფოს მიერ გამოყოფილი სახსრებისა და მატერიალურ-ტექნიკური რესურსების უფრო ეფექტიანი გამოყენებისათვის.

სოფლის მეურნეობის სწრაფი და ყოველმხრივი განვითარების ამოცანებას გადაწყვეტა, სასოფლო-სამეურნეო წარმოების სწრაფი ტემპის უზრუნველყოფა მოითხოვს კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვის შემდგომ გაძლიერებას. ეს ავალებს მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს და სამინისტროებს 1966 წლის გეგმის შესრულების პროცესში დამატებით გამონახონ რესურსები და მოახმარონ ისინი სოფლის მეურნეობის განვითარებას.

კაპიტალური მშენებლობა

1966 წელს უნდა განხორციელდეს კაპიტალური მშენებლობის დიდი პროგრამა, რომელსაც დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენი ქვეყნის ეკონომიკის შემდგომი განვითარებისათვის, ძირითადი ფონდების გაფართოებული კვლავწარმოებისათვის და ძირითადი სახალხო-სამეურნეო პროპორციების გაუმჯობესებისათვის.

დაფინანსების ყველა წყაროს ხარჯზე კაპიტალურ დაბანდებათა მოცულობა 1966 წელს გაიზრდება 6,4 პროცენტით და მიაღწევს 52,9 მილიარდ მანეთს.

სახელმწიფო ცენტრალიზებული კაპიტალური დაბანდებანი განსაზღვრულია 40,4 მილიარდი მანეთის ოდენობით; 1965 წელთან შედარებით ეგი იზრდება 2,4 მილიარდი მანეთით, ანუ 6,3 პროცენტით, აქედან სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოები 1,6 მილიარდი მანეთით, ანუ 7,6 პროცენტით.

გეგმის პროექტში დასახულ კაპიტალურ დაბანდებათა ხარჯზე უნდა განხორციელდეს დიდი ღონისძიებანი მოქმედ საწარმოთა ტექნიკური შეიარაღებისა და ასამუშავებელი და სხვა ობიექტების მშენებლობის შემავარებისათვის, აგრეთვე საბინაო, კომუნალური, კულტურულ-საყოფაცხოვრებო მშენებლობის შემდგომი გაფართოება.

1966 წლის გეგმაში კაპიტალურ დაბანდებათა ზრდის ყველაზე სწრაფი ტემპები განთავსებულნი სოფლის მეურნეობაში, მსუბუქ მრეწველობასა და ზოგიერთ სხვა დარგში.

სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის სახელმწიფო ცენტრალიზებული კაპიტალური დაბანდება განსაზღვრულია 6,1 მილიარდი მანეთის ოდენობით, ანუ 15,6 პროცენტით მეტი, ვიდრე 1965 წელს; კოლმეურნეობათა სახსრების გათვალისწინებით კაპიტალური დაბანდებანი სოფლის მეურნეობაში 11,5 მილიარდ მანეთს მიაღწევენ.

მრეწველობას მოხმარდება კაპიტალური დაბანდებანი 19,5 მილიარდი მანეთის ოდენობით, ანუ 5,2 პროცენტით მეტი, ვიდრე 1965 წელს.

დიდი აღიგნობანი გათვალისწინებულია მანქანათმშენებლობის განვითარებისათვის. კაპიტალური დაბანდება ამ დარგში გაიზრდება 13 პროცენტით, აქედან ავტომატურ-ტექნიკურ და სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობაში — 26,5 პროცენტით, ხელსაწყოთმშენებლობაში — 12,4 პროცენტით, სხმულის, ნაკეთილი და ტვიფრების სპეციალიზებული საწარმოების განვითარებისათვის — 33 პროცენტით და მეტით.

კაპიტალური დაბანდებანი შავ მეტალურგიაში იზრდება 10,5 პროცენტით, ნავთობისა და გაზის მრეწველობაში — 8,2 პროცენტით, აქედან გაზის მრეწველობაში — 13 პროცენტით.

კაპიტალური დაბანდებანი მსუბუქ მრეწველობაში გათვალისწინებულია გაიზარდოს 1965 წელთან შედარებით 22 პროცენტით. ამასთან კაპიტალური დაბანდებანი ხელოვნური ბოჭკოების ქსოვილების საწარმოთა განვითარებისათვის გაიზრდება დაახლოებით 1,5-ჯერ, ტრიკოტაჟის მრეწველობის საწარმოებისა — 30 პროცენტით, სამკერვალო მრეწველობის საწარმოთა მშენებლობისათვის — 2-ჯერ. მომავალ წელს დასახულია დამთავრდეს მსუბუქი მრეწველობის 80-მდე საწარმოს მშენებლობა.

საბინაო და კომუნალური მშენებლობისათვის დასახულია დაფინანსების ყველა წყაროდან გამოიყოს 9,5 მილიარდი მანეთი, ანუ 6,8 პროცენტით მეტი, ვიდრე 1965 წელს, ადგილობრივი ცენტრალიზებული კაპიტალურ დაბანდებებიდან 6,6 მილიარდი მანეთი, ანუ 6,2 პროცენტით მეტი.

განათლების, კულტურისა და ჯანმრთელობის დაცვის განვითარებას 1966 წელს მოხმარდება 1,3 მილიარდ მანეთზე მეტი სახელმწიფო ცენტრალიზებული კაპიტალური დაბანდებანი, ამასთან კაპიტალური დაბანდებანი ჯანმრთელობის დაცვის ობიექტების მშენებლობისათვის 9 პროცენტით და მეტად გაიზრდება.

1966 წელს გათვალისწინებულია ამოქმედდეს 38,3 მილიარდი მანეთი ღირებულების ძირითადი ფონდები, ანუ 6,4 პროცენტით მეტი, ვიდრე 1965 წელს.

კაპიტალურ დაბანდებათა კონცენტრაციის მიზნით გეგმის პროექტი ითვალისწინებს ასამუშავებელ მშენებლობებს მოხმარდეს მრეწველობის განვითარებისათვის გამოყოფილ კაპიტალურ დაბანდებათა საერთო მოცულობის 70 პროცენტი. გეგმაში შეტანილია 327 ახალი მშენებლობა, რომელთა სახარჯთაღრიცხვო ღირებულება 2,5 მილიონ მანეთს აღემატება და რომლებსაც დიდი სამეურნეო მნიშვნელობა აქვთ. შესადარებლად უნდა ითქვას, რომ 1965 წელს ასეთი მშენებლობა 463 იყო, ამასთან მშენებლობებისათვის, რომლებიც ახლად იწყება, 1966 წელს დაწესებულია კაპიტალურ დაბანდებათა მოცულობა მათი საერთო სახარჯთაღრიცხვო ღირებულების დაახლოებით 12 პროცენტის ოდენობით, მაშინ როცა 1965 წელს ასეთი მშენებლობებისათვის გამოყოფილი იყო კაპიტალური დაბანდებანი მათი სახარჯთაღრიცხვო ღირებულების სულ მხოლოდ 8 პროცენტის ოდენობით. ამრიგად, მომავალ წელს შეიქმნება საწარმოთა მშენებლობის ვადების შემცირების უკეთესი პირობები.

ამასთან დაკავშირებით განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს, რომ საჭიროა გაუმჯობესდეს საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო საქმე. ამ ბოლო დროს შეიწყნარებლად შემცირდა საპროექტო ორგანიზაციების პასუხისმგებლობა ხარჯთაღრიცხვების ხარისხისა და მათი შესრულებისათვის. დამკვიდრდა პრაქტიკა, როცა საპროექტო ორგანიზაციები ამცირებენ სამუშაოთა ღირებულებას დაპროექტების თავდაპირველ სტადიაზე და ზრდიან სახარჯთაღრიცხვო ღირებულებას მშენებლობის პროცესში. ყოველივე ეს ძირს უთხრის კაპიტალურ დაბანდებათა გეგმების რეალობას და დიდად აზარალებს სახალხო მეურნეობას, საჭიროა რაც შეიძლება მალე დავამყაროთ ჯეროვანი წესრიგი ამ საქმეში, გავაძლიეროთ საპროექტო ორგანიზაციების პასუხისმგებლობა საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის ხარისხისათვის.

წარმატებით რომ შეგასრულოთ 1966 წლისათვის დასახული კაპიტალურ დაბანდებათა დიდი მოცულობა, საჭიროა მნიშვნელოვნად გავაუმჯობესოთ სამშენებლო სამუშაოთა ორგანიზაცია, გაგრძელდეს სპეციალიზებული სამშენებლო-სამონტაჟო ორგანიზაციები, გავადიდოთ სამშენებლო სამუშაოთა ინდუსტრიალიზაცია და მექანიზაცია, მოჭიერნედ გამოვიყენოთ მასალები. გეგმის პროექტით გათვალისწინებულია 6 პროცენტით გადიდდეს შრომის ნაყოფიერება მშენებლობაში.

საჭიროა აგრეთვე სერიოზულად გავაუმჯობესოთ მშენებლობა სოფლად, განვახორციელოთ დამატებითი ღონისძიებანი, რათა სოფლად შექმნილი საიჯარო სამშენებლო-სამონტაჟო ორგანიზაციათა მძრავი მექანიზებული კოლონები აღჭურვოთ მექანიზმებით, ავტოტრანსპორტით. აგრეთვე დავაკომპლექტოთ მუშახელით.

უურადღება უნდა დავუთმოთ ტექნოლოგიური მოწყობილობით მშენებლობათა კომპლექტაციის გაუმჯობესებას. შემკვეთი საწარმოები მეტ ოპერატიულობას უნდა იჩენდნენ დაუდგენელი მოწყობილობის გამოყენებასთან დაკავშირებული საკითხების გადაჭრაში.

ხალხის ცხოვრების დონის ამაღლების ღონისძიებანი

ამხანაგო დეპუტატებო! ჩვენი ქვეყნის საზოგადოებრივი წარმოებისა და ეროვნული შემოსავლის დასახული ზრდა საშუალებას გვაძლევს 1966 წლის გეგმით გავითვალისწინოთ საბჭოთა ადამიანების ცხოვრების დონის შემდგომი ამაღლება.

დაანგარიშებულია ერთ კაცზე გაანგარიშებით 6,5 პროცენტით გადიდდეს რეალური შემოსავალი, რომელიც ხალხის ცხოვრების დონის განმაზოგადებელი მაჩვენებელია. ეს დიდი მატებაა. იგი თითქმის ერთიანად აღემატება 1959-1965 წლების რეალური შემოსავლის საშუალო წლიურ მატებას.

გეგმით დასახულია საზოგადოებრივი მეურნეობიდან კოლმეურნეთა შემოსავლის ზრდის მაღალი ტემპები. ეს შემოსავალი დაახლოებით 12 პროცენტით გაიზრდება.

მნიშვნელოვნად გადიდდება მოხმარების საზოგადოებრივი ფონდები. როგორც ცნობილია, ეს ფონდები უზრუნველყოფს უფასო განათლებას, სამედიცინო მომსახურებას, პენსიებს, დახმარებას გაცემას, სხვადასხვა შეღავათების მიცემას. თუ მიმდინარე წელს ამ მიზნით დაიხარჯა 41 მილიარდი მანეთი, 1966 წელს გათვალისწინებულია 44,5 მილიარდი მანეთი.

მუშათა და მოსამსახურეთა რიცხვი დაახლოებით 2 მილიონ 900 ათასი კაცით გაიზრდება და მიაღწევს თითქმის 80 მილიონს.

დიდი უურადღება ეთმობა ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების შემდგომ გაფართოებას, კულტურის დაწესებულებათა და კომუნალურ-საყოფაცხოვრებო საწარმოთა მშენებლობას.

სახელმწიფო და კოოპერაციული ვაჭრობის საცალო საქონელბრუნვა 1966 წლისათვის დასახულია 110,5 მილიარდი მანეთის ოდენობით, ანუ შესადარ ფასებში 1965 წლის მოსალოდნელ შესრულებასთან შედარებით 7,4 პროცენტით გადიდდება. მოსახლეობას მიეყიდება თითქმის 8 მილიარდი მანეთით მეტი ღირებულების საქონელი, ვიდრე 1965 წელს. მნიშვნელოვნად გადიდდება რძის პროდუქტების, თევზის, მცენარეული ზეთის, საკონდიტრო ნაწარმის, ტელევიზორების, რადიომიმღებებისა და სხვა საქონლის გაყიდვა. მაცივრების გაყიდვა 30 პროცენტით და მეტად გაიზრდება, გაიყიდება 2 მილიონზე მეტი მაცივარი. სამაცივრე მერქნის გაყიდვა გადიდდება თითქმის 50 პროცენტით, ხის ბუბუშელის ფილებისა — 40 პროცენტით, ცემენტისა — 19 პროცენტით, საფანჯრე მინისა — 10 პროცენტით.

სსრ კავშირის ვაჭრობის სამინისტრომ და სამომხმარებლო საზოგადოებათა ცენტრალურმა კავშირმა უნდა გაუმჯობესონ მუდმივად მოსახლეობის მომსახურება, უფრო სრულად შეიმუშავონ მათი მოთხოვნილება, უფრო ოპერაციონალურად გაანაწილონ საქონლის რესურსები საბჭოთა კავშირის რაიონებში. განსაკუთრებული უურადღება უნდა დაეთმოს ვაჭრობის გაუმჯობესებასა და საკონდიტრო ნაწარმის ზრდას სოფლად. ამას ხელს შეუწყობს ბამბის ქსოვილების, ტრიკოტაჟის ნაწარმის, შაქრისა და საკონდიტრო ნაწარმის ორსებული სასოფლო ფასმატების მომეალი გაუქმება. ამრიგად, ფასები ქალაქად და სოფლად ერთნაირი იქნება.

1966 წლის გეგმით დასახულია მნიშვნელოვნად გაუმჯობესდეს მოსახლეობის მომსახურება. მოსახლეობის ფასიანი მომსახურების საერთო მოცულობა 10 პროცენტით და მეტად გადიდდება.

საყოფაცხოვრებო მომსახურების მოცულობა გაიზრდება 17 პროცენტით, ამასთან უფრო სწრაფად განვითარდება სოფლის მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურება, რაც ხელს შეუწყობს ქალაქისა და სოფლის მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების დონეთა დაახლოებას.

სკკპ ცენტრალური კომიტეტი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო მუდამ ზრუნავენ მშრომელთა საბინაო პირობების გაუმჯობესებისათვის. 1966 წელს, ისევე როგორც წინა წლებში, დიდი მასშტაბით განხორციელდება საბინაო მშენებლობა სახელმწიფო სახსრებითა და მოსახლეობის სახსრებით. გეგმის პროექტით გათვალისწინებულია ამ სახსრების ხარჯზე საეუსპლოატაციოდ გადაეცეს საცხოვრებელი სახლები, რომელთა საერთო ფართობი დაახლოებით 90 მილიონი კვადრატული მეტრი იქნება, ანუ 11,6 პროცენტით მეტი, ვიდრე მიმდინარე წელს. არც ერთ წინა წელს არ გადაცემულა საეუსპლოატაციოდ ამდენი საცხოვრებელი ფართობი. ამას მოწმობს შემდეგი ციფრები: 1963 წელს აშენდა 79, 1964 წელს — 75, 1965 წელს კი საეუსპლოატაციოდ უნდა გადაეცეს საცხოვრებელი სახლების 80 მილიონ კვადრატულ მეტრზე მეტი საერთო ფართობი. მომავალ წელს 11 მილიონზე მეტი კაცი გაიუმჯობესებს საბინაო პირობებს.

სულ უფრო გავრცელდება კოოპერაციული საბინაო მშენებლობა. საბინაო კოოპერაციის ხარჯზე 1966 წელს საეუსპლოატაციოდ გადაეცემა 8,5 მილიონი კვადრატული მეტრი ნაცვლად 1964 წლის 4,8 მილიონი კვადრატული მეტრისა და 7,2 მილიონი კვადრატული მეტრისა, რასაც 1965 წელს მოველით. სახლები აშენდება ტიპიური პროექტებით, რომლებიც უზრუნველყოფენ ბინების დაგეგმვის ერთგვარ გაუმჯობესებას.

1966 წლის გეგმის პროექტით გათვალისწინებულია კიდევ უფრო განვითარდეს განათლება, კულტურა და ჯანმრთელობის დაცვა. გაფართოვდება სანატორიუმების, დასასვენებელი სახლების და სხვა გასამჯობესებელ დაწესებულებათა ქსელი.

1966 წელს 8,5 მილიონზე მეტი ბავშვი ისარგებლებს საბავშვო ბაღებითა და ბაღებით. ეს თითქმის 11 პროცენტით მეტია, ვიდრე 1965 წელს. ამის შედეგად ქალაქებში სკოლამდელი ასაკის ბავშვთა 44 პროცენტი უზრუნველყოფილი იქნება ბაღებითა და ბაღებით.

გათვალისწინებულია 1965 წლის 58 პროცენტთან შედარებით 1966 წელს 70 პროცენტით გაიზიდოს საშუალო სკოლებს მეცხრე კლასებში იმ მოსწავლეთა მიღება, რომლებიც მერვე კლასებს ამთავრებენ.

მთავრობა მნიშვნელოვან სახსრებს გამოჰყოფს კულტურულ-საყოფაცხოვრებო მშენებლობისა და ჯანმრთელობის დაცვის განვითარებისათვის. მაგრამ ამ სახსრებს სისტემატურად მთლიანად ვერ იყენებენ. მომავალ წელს გადამწყვეტი ღონისძიებანი უნდა განახორციელოთ კულტურულ-საყოფაცხოვრებო მშენებლობის ობიექტების საეუსპლოატაციოდ გადაცემის დაჩქარებისა და მისი თვითღირებულების შემცირებისათვის, განსაკუთრებული უურადღება უნდა დავუთმოთ საავადყოფოებისა და საბავშვო დაწესებულებების მშენებლობის დაჩქარებას.

მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა და ადგილობრივი საბჭოების აღმასკომებმა ჯეროვანი წესრიგი უნდა დაამყარონ ამ საქმეში.

1966 წლის გეგმის პროექტით დასახულია კიდევ უფრო გაფართოვდეს უმაღლესი და განსაკუთრებით საშუალო განათლების მქონე სპეციალისტთა მომზადება. მნიშვნელოვნად გადიდდება უმაღლეს სასწავლებლებსა და ტექნიკუმებში მიღება მთელ რიგ საინჟინრო და ეკონომიურ სპეციალობებზე. მხედველობაში გვაქვს გავაუმჯობესოთ სპეციალისტთა მომზადების ხარისხი დღის სწავლების უპირატესი განვითარების გზით. ფართოვდება კვალიფიციურ მუშათა კადრების მოსამზადებელ პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებელთა ქსელი.

ამასთანავე ყოველი ღონისძიებით უნდა განვავითაროთ კადრების გადამზადებისა და მათი კვალიფიკაციის ამაღლების სხვადასხვა ფორმა, განსაკუთრებული უურადღება უნდა დავუთმოთ საწარმოთა ეკონომიკის, მართვის მეცნიერებისა და შრომის მეცნიერული ორგანიზაციის მეთოდების შესწავლას.

ასეთია, ამხანაგო დეპუტატებო, 1966 წლის სახალხო-სამეურნეო გეგმის ძირითადი დავალებანი.

მოკავშირე რესპუბლიკების სახალხო მეურნეობის განვითარება

ამხანაგო დეპუტატებო! ნება მიბოძეთ მოკლედ შევეხო მოკავშირე რესპუბლიკების სახალხო მეურნეობის განვითარების ყველაზე დიდმნიშვნელოვან საკითხებს.

1966 წლის გეგმის პროექტით დასახულია ყველა მოკავშირე რესპუბლიკის ეკონომიკისა და კულტურის შემდგომი აღმავლობა საერთო სახელმწიფოებრივი ინტერესების საფუძველზე და თვითეული მოკავშირე რესპუბლიკის თავისებურებათა გათვალისწინებით.

რუსეთის ფედერაციაში 6,5 პროცენტით გადიდდება სამრეწველო წარმოების მოცულობა. ამასთან მხედველობაში გვაქვს გავადიდოთ ნავთობის მოპოვება 17 მილიონი ტონით და მეტად, რაც საკავშირო საერთო მატების 80 პროცენტს გადააჭარბებს; ბუნებრივი გაზის მოპოვება — 8 მილიარდი კუბური მეტრით, რაც საერთო საკავშირო მატების 42 პროცენტს უდრის, შავი ლითონების ნაგლინის წარმოება — 2,6 მილიონი ტონით, ანუ მთელი მატების ნახევარზე მეტით, მინერალური სასუქებისა — 2,5 მილიონი ტონით, ანუ მთელი საკავშირო მატების დაახლოებით 60 პროცენტით.

რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის განვითარებისათვის გათვალისწინებულია გამოიყოს დაახლოებით 15,5 მილიარდი მანეთი სახელმწიფო ცენტრალიზებული კაპიტალური დაბანდებანი, ანუ 6,6 პროცენტით მეტი, ვიდრე 1965 წელს. ამასთან სოფლის მეურნეობის განვითარებას მოხმარდება 2,6 მილიარდი მანეთი, ანუ 15 პროცენტით მეტი, ვიდრე 1965 წელს, და საბინაო-კომუნალურ მშენებლობას — 3,2 მილიარდი მანეთი, ანუ 6,4 პროცენტით მეტი.

უკრაინის სს რესპუბლიკაში 1966 წელს მრეწველობის საერთო პროდუქცია გადიდდება 5,5 პროცენტით. გათვალისწინებულია გადიდდეს ქვანახშირის მოპოვება თითქმის 200 მილიონ ტონამდე, ნავლინის წარმოება — 32 მილიონ ტონამდე, მინერალური სასუქებისა — 7,3 მილიონ ტონამდე. ფოლადის გამოდნობა გადიდდება 8,5 პროცენტით, ნავთობის მოპოვება — 16 პროცენტით და გაზისა — 10 პროცენტით.

მნიშვნელოვნად გადიდდება მცენარეული ზეთის, მოუხდელი რძის პროდუქციისა და სხვა სასურსათო საქონლის წარმოება.

რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის განვითარებისათვის გამოიყოფა 4,8 მილიარდი მანეთი ცენტრალიზებული კაპიტალური დაბანდებანი, ანუ 6,7 პროცენტით მეტი, ვიდრე 1965 წელს. საბინაო-კომუნალურ მშენებლობას მოხმარდება 5,9 პროცენტით მეტი სახსრები, ვიდრე 1965 წელს. სოფლის მეურნეობაში დაბანდებული იქნება 711 მილიონი მანეთი, ანუ 17,5 პროცენტით მეტი, ვიდრე 1965 წელს.

ბელორუსიის სს რესპუბლიკაში სამრეწველო პროდუქციის წარმოება გადიდდება 8,7 პროცენტით. განსაკუთრებით სწრაფი ტემპებით განვითარდება ქიმიური მრეწველობა და სახალხო მოხმარების საქონლის წარმოება. მაგალითად, კალიუმის სასუქების წარმოება გადიდდება თითქმის 37 პროცენტით, ქიმიური ბოჭკოებისა — 34 პროცენტით, ბამბის ქსოვილებისა — 2,9-ჯერ, აბრეშუმის ქსოვილებისა — 68 პროცენტით, მოუხდელი რძის პროდუქციისა — თითქმის 11 პროცენტით.

კაპიტალურ დაბანდებათა საერთო მოცულობა 1965 წელთან შედარებით გადიდდება 14,8 პროცენტით, რაც იმის საშუალებას მოგცემს, რომ დავამთავროთ ქიმიური, ნავთობგადასამუშავებელი და მრეწველობის სხვა დარგების მთელი რიგი დიდმნიშვნელოვანი ობიექტების მშენებლობა.

მოლდავეთის სს რესპუბლიკაში 1965 წელთან შედარებით მრეწველობის საერთო პროდუქცია 9,4 პროცენტით გაიზრდება, ამავე დროს ელექტროენერგიის გამომუშავება გადიდდება 17 პროცენტით, მნიშვნელოვნად გადიდდება კულტურულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულებისა და საოჯახო საქონლის, ნიწილის ნაწარმის, მცენარეული ზეთის, კონსერვების, უურძნის ღვინის წარმოება. კაპიტალურ დაბანდებათა საერთო მოცულობა 1965 წელთან შედარებით გადიდდება 12 პროცენტით და მეტად.

ყაზახეთის სს რესპუბლიკაში სამრეწველო წარმოების მოცულობა გადიდდება 7,2 პროცენტით. ელექტროენერგიის გამომუშავება — 12 პროცენტით, ბოჭკოტების მოპოვება — 34 პროცენტით, ოიხამიწის წარმოება — 83 პროცენტით, თუთიისა — 18 პროცენტით. ერთიორად გადიდდება მაგნუმისა და მისი შენაღნობების წარმოება, ნავთობის მოპოვება გადიდდება 1,5-ჯერ, ნაგლინის წარმოება — 2,6-ჯერ.

კაპიტალური დაბანდებანი რესპუბლიკის სახალხო მეურნეობაში მიაღწევს 2,6 მილიარდ მანეთზე მეტს, ანუ თითქმის 7 პროცენტით მეტს, ვიდრე ათვისებულ იქნება მიმდინარე წელს. ირტიშ- ყარაგანდის არხით 1966 წელს წყალ მიიწევდან ეკიპასტუზის სამრეწველო კვანძს. დამატებით გაწყლიერდება 5 მილიონი ჰექტარი სამოვრები.

გათვალისწინებულია საექსპლოატაციოდ გადაეცეს 3,2 მილიონი კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობი, ანუ 14 პროცენტით მეტი, ვიდრე მიმდინარე წელს.

ამიერკავკასიის რესპუბლიკებში სამრეწველო წარმოების ზრდის ტემპები უფრო მაღალი იქნება, ვიდრე სამუალოდ სსრ კავშირში. ეს საშუალებას მოგვცემს უფრო სრულად გამოვიყენოთ საზოგადოებრივ წარმოებაში ადგილობრივი შრომითი რესურსები.

საქართველოს სს რესპუბლიკაში სამრეწველო პროდუქციის საერთო მატება მიაღწევს 8,4 პროცენტს, ამასთანავე ყველაზე სწრაფი ტემპით გაიზრდება წარმოება: კაროლეტამისა — 39 პროცენტით, ქიმიური ბოჭკოებისა — 6-ჯერ, სატვირთო ავტომობილებისა — 20 პროცენტით, უურძნის ღვინისა — 28 პროცენტით.

რესპუბლიკის სახალხო მეურნეობაში კაპიტალურ დაბანდებათა საერთო მოცულობა მიაღწევს დაახლოებით 420 მილიონ მანეთს.

აზერბაიჯანის სს რესპუბლიკაში გათვალისწინებულია, რომ დიდი ტემპებით გაიზრდება წარმოება გოგირდმჟავასი — 56 პროცენტით, მინერალური სასუქებისა — 44 პროცენტით, მცენარეთა დაცვის საშუალებებისა — 26 პროცენტით, კაუსტიკური სოდისა — 73 პროცენტით, უურძნის ღვინისა — 22 პროცენტით, ამასთანავე სამრეწველო პროდუქციის საერთო მატება 7,2 პროცენტი იქნება.

რესპუბლიკაში კაპიტალურ დაბანდებათა მოცულობა შეადგენს 609 მილიონ მანეთს, აქედან სახნავი მშენებლობაზე დაიხარჯება 76 მილიონი მანეთი, ანუ 12 პროცენტით მეტი, ვიდრე 1965 წელს.

სომხეთის სს რესპუბლიკაში გათვალისწინებულია 11,2 პროცენტით გადიდდეს სამრეწველო პროდუქციის წარმოება. ყველაზე მეტად განვითარდება მანქანათმშენებლობა და ელექტროენერგიის გამომუშავება გადიდდება თითქმის 33 პროცენტით, გოგირდმჟავას წარმოება — ერთიორად და უფრო მეტად, ავტომატიზაციის ხელსაწყოებისა და საშუალებებისა — 21 პროცენტით, შალის ქსოვილებისა — 21 პროცენტით, უურძნის ღვინისა — 23 პროცენტით.

კაპიტალურ დაბანდებათა საერთო მოცულობა 1965 წელთან შედარებით გადიდდება 11 პროცენტით.

უზბეკეთის სს რესპუბლიკაში სამრეწველო წარმოების მატება მიაღწევს 9 პროცენტს. ბუნებრივი გაზის მოპოვება გადიდდება 46 პროცენტით, ნავთობის გადამუშავება — 44 პროცენტით, მინერალური სასუქების წარმოება — 13 პროცენტით, მცენარეთა დაცვის ქიმიური საშუალებებისა — 2,4-ჯერ, სასოფლო-სამეურნეო მანქანებისა — 14 პროცენტით. გათვალისწინებულია სახალხო მოხმარების საქონლის წარმოების მნიშვნელოვანი ზრდა, კერძოდ ტრიკოტაჟის საცვლებისა ერთნახევარჯერ და მეტად, კულტურულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულებისა და საოჯახო საქონლისა 15 პროცენტით.

რესპუბლიკაში სახელმწიფო კაპიტალურ დაბანდებათა საერთო მოცულობა 1 მილიარდ მანეთს გადააჭარბებს და გადიდდება 11 პროცენტით. სარწყავი ფართობი გადიდდება 55 ათასი ჰექტარით.

ყირგიზეთის სს რესპუბლიკაში გათვალისწინებულია საერთო პროდუქციის მოცულობა გადიდდეს 8,7 პროცენტით, ელექტროენერგიის გამომუშავება — 13,5 პროცენტით, მანქანათმშენებლობის პროდუქციისა — 24,5 პროცენტით. დაიწყება სატვირთო ავტომობილების სერიული წარმოება.

რესპუბლიკაში კაპიტალურ დაბანდებათა საერთო მოცულობა შეადგენს დაახლოებით 250 მილიონ მანეთს, ანუ 1965 წელთან შედარებით გადიდდება თითქმის 11 პროცენტით.

ტაჯიკეთის სს რესპუბლიკაში სამრეწველო წარმოება გადიდდება 9,3 პროცენტით. გათვალისწინებულია ელექტროენერგიის გამომუშავების, ბამბის ქსოვილების, ზედა ტრიკოტაჟის, მაცივრების წარმოების დიდი ზრდა.

რესპუბლიკაში კაპიტალურ დაბანდებათა საერთო მოცულობა შეადგენს 270 მილიონ მანეთს, ესე იგი გადიდდება თითქმის 15 პროცენტით.

თურქმენეთის სს რესპუბლიკაში გათვალისწინებულია ნავთობის მოპოვების, ელექტროენერგიის გამომუშავების, ნავთობპროდუქტების, გოგირდის, ცემენტის, ბამბის ქსოვილების, კონსერვებისა და მთელ რიგ სხვა სახეობათა პროდუქციის წარმოების შემდგომი ზრდა.

რესპუბლიკაში კაპიტალურ დაბანდებათა საერთო მოცულობა გადიდდება 13 პროცენტით და 310 მილიონ მანეთს შეადგენს.

შუა აზიის რესპუბლიკების მოსახლეობის საბინაო პირობების გაუმჯობესების მიზნით 1966 წელს აქ გათვალისწინებულია საბინაო მშენებლობის უფრო მაღალი ტემპები, ვიდრე მთლიანად სსრ კავშირში, თუ საშუალოდ სსრ კავშირში სახელმწიფო კაპიტალურ დაბანდებათა მოცულობა საბინაო მშენებლობისათვის გადიდდება 6,2 პროცენტით, უზბეკეთის სს რესპუბლიკაში იგი გადიდდება 28 პროცენტით, ყირგიზეთის სს რესპუბლიკაში — თითქმის 17 პროცენტით, ტაჯიკეთის სს რესპუბლიკაში — 19 პროცენტითა და მეტად და თურქმენეთის სს რესპუბლიკაში — 16 პროცენტით.

ბალტიისპირეთის რესპუბლიკებში გეგმით გათვალისწინებულია ქიმიური მრეწველობის, მანქანათმშენებლობისა და ელექტროენერგეტიკის ზრდის უპირატესი ტემპები.

ლიტვის სს რესპუბლიკაში გათვალისწინებულია საერთო პროდუქციის მოცულობა გადიდდეს 8,2 პროცენტით, ელექტროენერგიის გამომუშავება თითქმის 16 პროცენტით. მნიშვნელოვნად განვითარდება ზედა ტრიკოტაჟის, წინდის ნაწარმის, ხორცის ნახევარფაბრიკატების, მოუხდელი რძის პროდუქციის, ყველის წარმოება.

კაპიტალური დაბანდებანი გათვალისწინებულია დაახლოებით 380 მილიონი მანეთის ოდენობით. ამოსაშრობი სამუშაოები განხორციელდება 120 ჰექტარ ფართობზე.

ლატვიის სს რესპუბლიკაში მრეწველობის საერთო პროდუქცია გადიდდება 8 პროცენტით, ბალიშისა ჰიდროელექტროსადგურის ამუშავებასთან დაკავშირებით ელექტროენერგიის წარმოება გადიდდება 65 პროცენტით, ქიმიური ბოჭკოებისა — 21 პროცენტით, სასოფლო-სამეურნეო მანქანებისა — 35 პროცენტით, ავტობუსებისა — 17 პროცენტით. 10 პროცენტითა და მეტად გადიდდება კულტურულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულებისა და საოჯახო საქონლის წარმოება. კაპიტალური დაბანდებათა მოცულობა შეადგენს 262 მილიონ მანეთს.

ესტონეთის სს რესპუბლიკაში ყველაზე მაღალი ტემპებით გაიზრდება წარმოება: ელექტროენერგიისა — 18,2 პროცენტით, სინთეზური ფისებისა — ორჯერ; სასოფლო-სამეურნეო მანქანებისა — 31,2 პროცენტით, ზედა ტრიკოტაჟისა — 34 პროცენტით, ავეჯისა — 12 პროცენტით.

რესპუბლიკის მეურნეობის განვითარებისათვის გამოყოფილი კაპიტალურ დაბანდებათა საერთო მოცულობა გათვალისწინებულია დაახლოებით 200 მილიონი მანეთის ოდენობით.

როგორც ხედავთ, გეგმით გათვალისწინებულია წარმოების საშუალებებისა და სახალხო მოხმარების საქონლის გადიდება ყველა მოკავშირე რესპუბლიკაში. ამასთან ერთად უნდა აღინიშნოს, რომ საჭიროა მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა განაგრძონ მუშაობა, რათა გამონახონ და წარმოებაში გამოიყენონ დამატებითი ადგილობრივი რესურსები მოსახლეობისათვის საქონლის გამოშვების კიდევ უფრო გასადიდებლად.

ეს ამოცანა მჭიდროდ უკავშირდება იმას, რომ უფრო სრულად ჩავაბათ საზოგადოებრივ წარმოებაში შრომისუნარიანი მოსახლეობა, განსაკუთრებით პატარა და საშუალო ქალაქებში.

ასეთია 1966 წლის სახალხო-სამეურნეო გეგმის ძირითადი დავალებანი მოკავშირე რესპუბლიკათა მიხედვით.

მინდა აგრეთვე აღვნიშნო, რომ სკკპ ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმის გადაწყვეტილებათა შესაბამისად დიდდება მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების ის სწორი ტერიტორიული დაგეგმვის, რესპუბლიკებისა და ეკონომიური რაიონების მეურნეობის კომპლექსური განვითარების საქმეში. როგორც ცნობილია, რესპუბლიკებმა უნდა შეიმუშაონ არა მარტო რესპუბლიკური და საკავშირო-რესპუბლიკური მეურნეობის დარ

სსრ კავშირის 1966 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი და სსრ კავშირის 1964 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულება

სსრ კავშირის ფინანსთა მინისტრის დეპუტატ ვ. თ. გარბუზოვის მოხსენება

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს სესიის განსახილველად და დასამტკიცებლად შემოაქვს სსრ კავშირის 1966 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი, ამბობს ვ. თ. გარბუზოვი. მომავალი წელი აღინიშნება დიდი ისტორიული მნიშვნელობის მოვლენით — გაიმართება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXIII ყრილობა. თავის ჟრილობას პარტია ეგებება შემოქმედებითი ძალებითა და ენერგიით აღსავსე, მთელ საბჭოთა ხალხთან ურთიერთ ერთიანობით.

კომუნისტური პარტია ჩვენი ქვეყნის მშრომელთა მეცადინეობას წარმართავს იმისათვის, რომ გადალახოთ ძირეული ამოცანები და უზრნარეს ყოველისა შეასრულოთ მთავარი ეკონომიური ამოცანა, რომელიც დასახულია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პროგრამით, — შეაქმნათ კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, ლენინის ანდერძისადმი ერთგული პარტია განუხრელად სრულყოფს კომუნისტური მშენებლობის ხელმძღვანელობის ფორმებსა და მეთოდებს.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის მარტისა და სექტემბრის პლენუმებმა დასახეს დიდი სამეურნეო რეფორმის განხორციელება მრეწველობის და სოფლის მეურნეობის დარგში, წარმოების ეკონომიური სტიმულირების გაძლიერების ღონისძიებათა სისტემის განხორციელება. ამ დიდმნიშვნელოვან გარდაქმნებს ყოვლისმომცველი ხასიათი აქვს, შეეხება მეურნეობის გაძღოლის მთელ სისტემასა და მეთოდებს და უეჭველად კეთილხაოფილ გავლენას მოახდენს ჩვენი ქვეყნის სამეურნეო და საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა მხარეზე.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმებისა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მეექვსე სესიის გადაწყვეტილებანი ასახავენ დემოკრატიული ცენტრალიზმის ლენინური პრინციპის შემდგომ განვითარებას. ეს გადაწყვეტილებანი მოასწავებენ, რომ ცენტრალიზებულ გეგმიან ხელმძღვანელობას შევუხამებთ საწარმოთა ოპერატიულ-სამეურნეო დამოუკიდებლობის გაფართოებასა და რესპუბლიკური ორგანოების როლის ამაღლებას.

საწარმოთა სამეურნეო ინიციატივისა და ეკონომიური სტიმულირების გაძლიერება განხორციელდება ცენტრალიზებული დაგეგმვის შემდგომი სრულყოფის, ფინანსების, ფასების, კრედიტისა და შრომის ანაზღაურების დარგში ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის განხორციელების საფუძველზე.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმების გადაწყვეტილებანი ერთსულოვნად მოიწონეს მთელმა პარტიამ, მთელმა საბჭოთა ხალხმა. იდეები, რომლებითაც გამსჭვალულია ეს გადაწყვეტილებანი, მთავარი შინაარსია სოციალისტური ძეჯიბრებისა, რომელიც ჩვენს ქვეყანაში გაიმართა კომუნისტური პარტიის XXIII ყრილობის ღირსეულად შესახვედრისათვის.

1965 წელს ჩვენი ქვეყანა ამთავრებს შვიდწლიანი გეგმის შესრულებას, რომელიც დიდმნიშვნელოვანი ეტაპია კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნაში. შვიდწლიანის ხლების მანძილზე დიდად გაიზარდა პროდუქციის გამოშვება; საბჭოთა მეცნიერების მიღწევათა ფანერგვის საფუძველზე ამაღლდა წარმოების ტექნიკური დონე, მნიშვნელოვნად გაიზარდა ჩვენი ქვეყნის ეროვნული შემოსავალი.

სოციალისტური დაგროვების ზრდის შედეგად გადიდდა სახელმწიფო ბიუჯეტის მოცულობა. განვლილ შვიდ ხელმწიფიში ბიუჯეტით მობილიზებული იყო უზარმაზარი ფულადი რესურსები — 600 მილიარდზე მეტი მანეთი. ეს სახსრები მოვახმარეთ სახალხო მეურნეობის განვითარებას, საბჭოთა ხალხის ცხოვრების მატერიალური და კულტურული დონის ამაღლებას, ჩვენი ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის განმტკიცებას.

სახალხო-სამეურნეო გეგმის წარმატებით შესრულებამ უზრუნველყო შემდგომი ნაბიჯი ბიუჯეტის შესრულება. წინასწარი მოხაზებებით, სსრ კავშირის სახელმწიფო ბიუჯეტი 1965 წელს შესრულდება შემოსავლის ნაწილში 103,5 მილიარდი მანეთის ოდენობით, ანუ 100,6 პროცენტით, და გასავლის ნაწილში 102,7 მილიარდი მანეთის ოდენობით, ანუ 99,9 პროცენტით. შემოსავალი გასავლს გადააჭარბებს 0,8 მილიარდი მანეთით; ეს სახსრები გამოყენებული იქნება სახალხო მეურნეობაში სახელმწიფო ბანკის საკრედიტო დაბანდებათა გასაფართოებლად. ყველა მოკავშირე რესპუბლიკა ასრულებს თავის სახელმწიფო ბიუჯეტს.

1965 წელს დიდი სახსრები გამოიყო ინდუსტრიის შემდგომი განვითარებისათვის, რომელიც თანამედროვე სოციალისტური ეკონომიკის საფუძველია. მწყობრში ჩადგა ბევრი ახალი სამეწარმეო საწარმო, მნიშვნელოვანი ზაოდენობით რეკონსტრუირებულია ქარხნები და ფაბრიკები; გაიზარდა მრეწველობის საბრუნავი ფონდები; სამრეწველო პროდუქციის გამოშვების გეგმა გადაჭარბებით სრულდება.

იმ ღონისძიებათა განხორციელებამ, რომელნიც მარტის პლენუმმა შეიმუშავა, უკვე მოახდინა კეთილნაყოფიერი გავლენა სოფლის მეურნეობის მდგომარეობაზე. მარტის პლენუმის გადაწყვეტილების შესაბამისად სოფლის მეურნეობის განვითარებას გეგმით გათვალისწინებული თანხების დამატებით მოხმარება 3 მილიარდამდე მანეთი, აქედან ბიუჯეტის ხარჯზე — 2,1 მილიარდი მანეთი. ეს სახსრები მიღებულია საქონლის წარმოებისა და რეალიზაციის გადიდების, აგრეთვე ბიუჯეტისა და მეურნეობის რესურსების ხელახალი განაწილების მეშვეობით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მეზუთე სესიაზე მთავრობამ განაცხადა, რომ 1965 წლისათვის დასახულია საბჭოთა ხალხის ცხოვრების დონის შემდგომი ამაღლების ღონისძიებანი.

მუშათა და მოსამსახურეთა საშუალო ხელფასი სახალხო მეურნეობაში იზრდება 5,5 პროცენტით ვგეგმით გათვალისწინებული 4,5 პროცენტის ნაცვლად. ხელფასი გაუდიდდათ განათლების, ჯანმრთელობის დაცვისა და სხვა იმ დარგების მუშაკებს, რომლებიც უშუალო მომსახურებას უწევენ მოსახლეობას.

შემცირდა სახალხო მოხმარების მთელი რიგი საქონლის საცალო ფასები; ფასების შემცირებისაგან მოსახლეობის მოგება წელიწადზე განსაკარგშეკნი 1,2 მილიარდ მანეთს აღემატება.

სახელმწიფო სოციალური დაზღვევის ბიუჯეტის ზრდამ რამაც წელს უზარმაზარ თანხას მიაღწია — 10 მილიარდ მანეთს გადაჭარბა, საშუალება მისცა პროფკავშირულ ორგანიზაციებს გაედიდებინათ პენსიების, დროებითი შრომისუუნარობის გამო დახმარების გაცემის, სანატორიუმებისა და დასასვენებელი სახლების საგზურების ანაზღაურების ხარჯები. მარტო წელს სანატორიუმებსა და დასასვენებელ სახლებში იყო 8 მილიონზე მეტი კაცი, პიონერთა ბანაკებში კი — 5 მილიონი ბავშვი.

მნიშვნელოვნად გაიზარდა კოლმეურნეთა შემოსავალი, შემოღებულია მათი პენსიონი უზრუნველყოფა. 1965 წელს მოსახლეობის ფულადი შემოსავალი 10 პროცენტით და მეტად გაიზრდება.

მოსახლეობის ფულადი შემოსავლის გადიდებასთან ერთად იზრდებოდა საქონლის გაყიდვა და მშრომელთა დანაზოგები. საცალო საქონელბრუნვა 1965 წელს შესადარ ფასებში 9,8 პროცენტით, გაიზრდება ნაცვლად წინა წლების 5-6 პროცენტისა. მოსახლეობის ანაბრები. შემახვევ სალაროებში თითქმის 3 მილიარდი მანეთით გადიდდება. მიმდინარე წელს აშენებული საცხოვრებელი სახლების საერთო ფართობი 80 მილიონ კვადრატულ მეტს გადააჭარბებს.

1965 წლის ბიუჯეტის პროექტის განხილვისას პალატების საბიუჯეტო კომისიებმა, ეროვნებათა საბჭოს ეკონომიურმა კომისიამ, აგრეთვე დეპუტატებმა გამოთქვეს მთელი რიგი კრიტიკული შენიშვნები და შემოიტანეს წინადადებანი საწარმოთა საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის გაუმჯობესების, სახსრების უფრო მომჭირნედ ხარჯვის, მმართველობის აპარატის სტრუქტურის გამარტივებისა და მისი გაიაფების შესახებ. ეს წინადადებანი განიხილა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ და რეალიზებულია გეგმისა და ბიუჯეტის შესრულების პროცესში.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ 1966 წლის გეგმისა და ბიუჯეტის პროექტების განხილვისას ყურადღება მიაქციეს იმას, რომ საჭიროა გაძლიერდეს ბრძოლა მატერიალური და ფულადი რესურსების მომჭირნედ ხარჯვისათვის.

სსრ კავშირის 1966 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი შემუშავებულია შესაბამისად პარტიისა და მთავრობის მითითებებისა სახალხო მეურნეობის განვითარების, ხალხის ცხოვრების მატერიალური და კულტურული დონის ამაღლების, საბჭოთა კავშირის თავდაცვითი ძლიერების განმტკიცების შესახებ.

ბიუჯეტის შემოსავალი და გასავალი განსაზღვრულია მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების, სსრ კავშირის სამინისტროებისა და უწყებების მონაწილეობით სახალხო-სამეურნეო გეგმის მაჩვენებელთა საფუძველზე.

ბიუჯეტის შემოსავალი განსაზღვრულია 105,4 მილიარდი მანეთის ოდენობით და გასავალი — 105,3 მილიარდი მანეთის ოდენობით. შესადარ პირობებში ბიუჯეტის შემოსავალი 5,2 პროცენტით გაიზრდება.

შემოსავლის გადამწყვეტ ნაწილს — 96,5 მილიარდ მანეთს, ანუ მთელი ბიუჯეტის 91,6 პროცენტს, შეადგენს სოციალისტური მეურნეობის საწარმოთა და ორგანიზაციათა გადასახდელები.

1966 წელს გადიდდება მოგების წილი სოციალისტური მეურნეობის დაგროვებასა და ბიუჯეტის შემოსავალში. მოგების საერთო თანხა მიაღწევს 43,1 მილიარდ მანეთს, ესე იგი 1965 წელთან შედარებით 16,0 პროცენტით გაიზრდება. მილიარდი მანეთით და მეტად გადიდდება მოგების თანხა, რომელიც საწარმოთა განკარგულებაში რჩება წარმოების შემდგომი გაფართოებისათვის, მუშაკთა მატერიალური წახალისებისა და კულტურულ-საყოფაცხოვრებო მომსახურებისათვის.

ბიუჯეტში მოგების შემოსავალი განსაზღვრულია 35,2 მილიარდი მანეთის ოდენობით ნაცვლად 1965 წლის 31,6 მილიარდი მანეთისა. ბრუნვის გადასახადი 1966 წლისათვის, სახალხო-სამეურნეო გეგმის დავალებათა საფუძველზე, შეადგენს 39,4 მილიარდ მანეთს.

1966 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში გათვალისწინებულია გადიდეს შემოსავალი საგარეო ვაჭრობისაგან. ამ შემოსავლის ზრდა იმ ფართო საგარეო-სავაჭრო ურთიერთობის შედეგია, რომელიც საბჭოთა კავშირს აქვს მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყანასთან.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის მარტის პლენუმის გადაწყვეტილებათა შესაბამისად 1966 წლის 1 იანვრიდან შემოღებულ იქნება ახალი კანონი კოლმეურნეობათა საშემოსავლო გადასახადის შესახებ. ახლა ეს გადასახადი კოლმეურნეობას გადახდება არა საერთო შემოსავლიდან, როგორც ამჟამად არის, არამედ წმინდა შემოსავლიდან, რომელიც რენტაბელობის 15 პროცენტს აღემატება, და კოლმეურნეთა შრომის ანაზღაურების ფონდიდან, რაც იგი აღემატება დაუბეგრავ მინიმუმს, რომელიც დაწესებულია თვეში 60 მანეთის ოდენობით მეურნეობაში მომუშავე კოლმეურნეზე.

კოლმეურნეობათა საშემოსავლო გადასახადის შემოსავალი 1966 წლისათვის ამ გადასახადის გაანგარიშების ახალი წესის გათვალისწინებით განსაზღვრულია 0,7 მილიარდი მანეთის ოდენობით. საშემოსავლო გადასახადის შემცირების შედეგად კოლმეურნეობათა მოგება თითქმის 500 მილიონი მანეთი იქნება.

მოსახლეობის გადასახადები 1966 წელს გათვალისწინებულია 8,1 მილიარდი მანეთის ოდენობით, რასაც საფუძველად უდევს სახალხო-სამეურნეო გეგმის ვარაუდები მუშათა და მოსამსახურეთა რიცხვის და ხელფასის ფონდის გადიდების შესახებ, აგრეთვე გადასახადთა მოქმედი განაკვეთები.

სსრ კავშირის 1966 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის გასავალი შეადგენს 105,3 მილიარდ მანეთს, ანუ 5,8 მილიარდ მანეთით მეტს, ვიდრე 1965 წლისათვის იყო გათვალისწინებული.

სახალხო მეურნეობის ყველა დარგის განვითარებისათვის ბიუჯეტიდან ასიგნებულია 43,8 მილიარდი მანეთი. გარდა ამისა, ამას მოხმარდება საწარმოთა საკუთარი რესურსები 35,5 მილიარდი მანეთის ოდენობით. სექტემბრის პლენუმის გადაწყვეტილებათა შესაბამისად მაღლდება კრედიტის როლი მეურნეობის მოთხოვნილებათა ფულადი სახსრებით უზრუნველყოფაში. საბჭოთა კავშირის ეკონომიკის განვითარებისათვის სახელმწიფოს დაბანდებათა საერთო მოცულობა 81,8 მილიარდი მანეთი იქნება, ანუ 7,8 პროცენტით მეტი, ვიდრე 1965 წელს.

1966 წელს დასახულია კიდევ უფრო გაიზარდოს ბიუჯეტის ასიგნებანი სოციალურ-კულტურული ღონისძიებებისათვის; ამ ღონისძიებათა დასაფინანსებლად გამოიყოფა 40,3 მილიარდი მანეთი, ანუ 2,8 მილიარდი მანეთით მეტი, ვიდრე 1965 წლის გეგმით იყო გათვალისწინებული.

სსრ კავშირის 1966 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი, რომელიც სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესიის განსახილველად არის წარმოდგენილი, ასახავს ახალ დიდი ნაბიჯს, რომელსაც ჩვენი ქვეყანა გადადგამს კომუნისტური საზოგადოების აშენების გზაზე.

ახალი ხუთწლედის პირველი წლის ბიუჯეტი ბრძოლაა, მილიონობით საბჭოთა ადამიანის შემოქმედებითი ღიმშენებლობითი შრომის ბიუჯეტია, იგი ჩვენი ხალხის ცხოვრების შემდგომი გაუმჯობესების ბიუჯეტია.

1966 წელს, თქვა მომხსენებელმა, მრეწველობის განვითარებას მოხმარდება 42,8 მილიარდი მანეთი, ანუ სახალხო მეურნეობისათვის გამოყოფილ მთელ დაბანდებათა ნახევარზე მეტი. ამასთან ბიუჯეტიდან ასიგნებულია 22,4 მილიარდი მანეთი და მეურნეობის საკუთარი სახსრებიდან — 20,0 მილიარდი მანეთი. 1965 წელთან შედარებით დაბანდებანი მრეწველობაში 6,8 პროცენტით გაიზრდება.

გათვალისწინებული ასიგნებანი უზრუნველყოფს ელექტროენერგეტიკის, მანქანათმშენებლობისა და ლითონდამუშავების, ქიმიური მრეწველობის უპირატეს განვითარებას. ამ პროგრესულ დარგებს მოხმარდება 7 მილიარდი მანეთი.

იმ მიზნით, რომ გადიდდეს სამრეწველო საქონლის წარმოება და მოსახლეობისთვის მიეიდეს. დიდი სახსრები მოხმარდება მსუბუქი და კვების მრეწველობის განვითარებას. დასახულია სერიოზული ღონისძიებანი მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების გასაუმჯობესებლად და საყოფაცხოვრებო სამსახურისათვის კადრების მოსამზადებლად.

ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის განვითარებისა და სრულყოფისათვის 1966 წელს ასიგნებულია 8,4 მილიარდი მანეთი.

წარმოების დაგეგმვისა და სტიმულირების ახალ პირობებში მოგება გახდება საწარმოთა საქმიანობის შეფასების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მაჩვენებელი, მოგება იქნება მატერიალური წახალისების, სოციალურ-კულტურულ ღონისძიებათა და საბინაო მშენებლობის, წარმოების განვითარების ფონდების შექმნის წყარო. აძაღლდება მოგების როლი სახელმწიფოს ცენტრალიზებული ფინანსური რესურსების შექმნაში, რომლებიც სახალხო მეურნეობის შემდგომ განვითარების ხმარდება.

მრეწველობის მოგება 1966 წელს 1965 წელთან შედარებით 14,3 პროცენტით გაიზრდება და მიაღწევს 26,5 მილიარდ მანეთს. 1966 წლის სახალხო-სამეურნეო გეგმით გათვალისწინებულია მრეწველობის სასაქონლო პროდუქციის თვითღირებულება შემცირდეს 1,3 პროცენტით. ტრანსპორტზე და კავშირგაბმულობის ორგანოებში 1966 წელს მოგება გადიდდება 11,8 პროცენტით.

მიმდინარე წელს ბეგრმა სამრეწველო საწარმომ ვერ შეასრულა დაგრაფიკების გეგმა. ყოველი ღონე უნდა ვიხმაროთ იმისათვის, რომ 1966 წელს მოგების გეგმა და საბიუჯეტო ვალდებულებანი შესრულდეს.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმის გადაწყვეტილებებში დასახულია ღონისძიებათა მთელი სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის შემდგომ გადიდებას და შრომის ნაყოფიერების ზრდას. 1966 წელს გეგმით გათვალისწინებულია კიდევ უფრო გადიდდეს შრომის ნაყოფიერება მრეწველობაში.

მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის თანამედროვე პირობებში წინა პლანზე დგება ისეთი საკითხები, როგორიც არის პროდუქციის წარმოების ტექნიკური დონე, ხარისხი, სიმაღლობა, მისი გამოყენების ეფექტიანობა.

პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისათვის ბრძოლაში ახლა ფართოდ იქნება გამოყენებული ეკონომიური სტიმულები. საწარმოთა საქმიანობა რეალიზაციისა და რენტაბელობის მოცულობით რომ შეფასდება, ეს გააძლიერებს მომხმარებლის კონტროლს ნაწარმის ხარისხისადმი. საწარმოებს, რომლებიც უშვებენ სტანდარტთან შედარებით გაუმჯობესებული ხარისხის პროდუქციას, უფლება მიეცათ დაადგინონ საბითუმო ფასების დანამატი, რაც გაადიდებს მათს მოგებას. საწარმოთა დამატებითი ხარჯებისათვის, რაც დაკავშირებულია პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებასთან, გათვალისწინებულია გაიცეს სპეციალური კრედიტები. ახალი ტექნიკის ათვისების ფონდის ხარჯზე დაიფარება გადიდებული ხარჯები ახლად ათვისებული ნაკეთობის მასობრივი წარმოების პირველი წლის განმავლობაში.

სამრეწველო სამინისტროთა და საწარმოთა ხელმძღვანელებმა 1966 წელს მნიშვნელოვნად უნდა გააუმჯობესონ პროდუქციის ხარისხი.

სექტემბრის პლენუმზე აღინიშნა, თქვა მინისტრმა, რომ ამჟამად ძირითად საწარმო ფონდებს ჯეროვნად ვერ იყენებენ.

1966 წელს ძირითადი საწარმო ფონდების გადიდებისა და ტექნიკური განახლებისათვის გამოიყოფა 19,5 მილიარდი მანეთი. ეს დიდი სახსრები რაც შეიძლება მეტი სარგებლობით უნდა დაიხარჯოს.

მრეწველობასა და ჩვენი ეკონომიკის სხვა დარგებს ამჟამად უდიდესი საბრუნავი ფონდები აქვთ. 1966 წელს სახალხო მეურნეობაში მარტო საკუთარი საბრუნავი საშუალებების მატებისათვის გამოიყოფა 4,5 მილიარდი მანეთი, აქედან მრეწველობაში — 2,4 მილიარდი მანეთი.

მთავრობის დავალების შესაბამისად სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან არსებული ფასების კომიტეტი და სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტრო დეკემბრის დამლევს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს წარუდგენენ წინადადებას სამრეწველო პროდუქციის ახალი საბითუმო ფასების შემუშავების ძირითადი მიმართულებების შესახებ.

1966 წელი დასაბამს მისცემს მრეწველობის გადაყვანას წარმოების დაგეგმვისა და სტიმულირების ახალ სისტემაზე, რომლებიც სკკპ ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმის გადაწყვეტილებებით არის გათვალისწინებული. მთავრობის მითითების თანახმად სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტი, სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტრო, შრომისა და ხელფასის საკითხთა სახელმწიფო კომიტეტი და საკავშირო პროფსაბჭო, სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკი და სსრ კავშირის სამშენებლო ბანკი სამინისტროებთან და უწყებებთან ერთად შეიმუშავებენ დოკუმენტებს, რომლებიც საჭიროა ახალი სისტემის შემოსაღებად თვითეული დარგისა და საწარმოთა ჯგუფის თავისებურებათა გათვალისწინებით. გათვალისწინებულია საწარმოო ფონდების, საწარმოთა განვითარების ფონდის, წახალისების ფონდის, სოციალურ-კულტურულ ღონისძიებათა ფონდის გადასახდელის დადგენის წესი და გადასახდელის ოდენობა; მზადდება აგრეთვე დებულება საგეგმო და ზეგეგმითი მოგების განაწილების შესახებ და ასევე მითითებანი.

შეიქმნა კომისია, რომელშიც შევიდნენ სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის, ფასების სახელმწიფო კომიტეტის, სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროს, სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის, შრომისა და ხელფასის საკითხთა სახელმწიფო კომიტეტის, სსრ კავშირის ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოსა და სსრ კავშირის სამშენებლო ბანკის წარმომადგენლნი. ამ კომისიამ წინასწარ უნდა განიხილოს სამინისტროთა წინადადება 1966 წელს ცალკეული საწარმოების დაგეგმვისა და ეკონომიური სტიმულირების ახალ წესზე გადაყვანის შესახებ.

ჩვენი ეკონომიკის შემდგომი ზრდა და ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესება, თქვა შემდეგ მომხსენებელმა, ბევრად არის დამოკიდებული სოფლის მეურნეობის განვითარებაზე. 1966 წელს სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის გათვალისწინებულია დაიხარჯოს 13,2 მილიარდი მანეთი, მათ შორის ბიუჯეტიდან დაიხარჯება 6,5 მილიარდი მანეთი.

ბიუჯეტში გათვალისწინებულია ასიგნებანი 1966 წელს იმ საქონლის ფასაბეტების გაუმჯობესებასთან დაკავშირებით, რომელიც მოსახლეობა ყიდულობს სოფლებში. ახლა ყველა საქონელი როგორც ქალაქში, ისე სოფლად გაიყიდება ერთიან საცალო ფასებში.

საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო საწარმოების „კაპიტალურ დაბანდებათა" დაფინანსებისათვის გამოიყოფა 6,1 მილიარდი მანეთი, ანუ 15,6 პროცენტით მეტი, ვიდრე 1965 წელს. გარდა ამისა, ბეგრად გადიდდება სახელმწიფო ბანკის გრძელვადიანი კრედიტები კოლმეურნეობებისათვის.

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ მიიღეს გადაწყვეტილება 1966 წლის 1 იანვრიდან შემცირდეს იმ ტრაქტორიანებს, სასოფლო-სამეურნეო მანქანების, ავტომობილებისა და მათი სათადარიგო ნაწილების, ელექტრომოწყობილობისა და სალტეების საბითუმო ფასები, რომლებსაც კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები ყიდულობენ.

სახალხო-სამეურნეო გეგმის მაჩვენებლების შესაბამისად საბჭოთა მეურნეობების შემდგომი განვითარების მიზნით, 1966 წელს ბიუჯეტიდან და მათი საკუთარი სახსრებიდან გამოიყოფა 7,4 მილიარდი მანეთი. ამასთან სოფლის მეურნეობის პროდუქციის შესასყიდი ფასების გადიდების შედეგად საბჭოთა მეურნეობების მოგება ძიაღწევს 1,6 მილიარდ მანეთს, ის მოგება, რომელსაც საბჭოთა მეურნეობები, იღებენ, გამოყენებულ უნდა იქნას მეურნეობის გაფართოებისათვის, კაპიტალური მშენებლობისათვის, კარგი მუშაკების წახალისებისათვის, მუშა-მოსამსახურეთა კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებისათვის.

სსრ კავშირის 1966 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტით გათვალისწინებულია წყალსამეურნეო მშენებლობისათვის დაიხარჯოს 1,2 მილიარდი მანეთი ნაცვლად ერთი მილიარდი მანეთისა, რაც 1965 წლის გეგმით იყო გათვალისწინებული.

1966 წლის გეგმით გათვალისწინებულია გაუმჯობესდეს კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მომარაგება ტრაქტორებით, სასოფლო-სამეურნეო მანქანებით. სასუქებითა და საწარმოო დანიშნულების სხვა საქონლით. ამასთან დაკავშირებით ბიუროთიანება „სასოფლოტექნიკის" საქონელბრუნვა მომავალ წელს მიაღწევს 8,1 მილიარდ მანეთს, ესე იგი გადიდდება 10,5 პროცენტით.

ჩვენს ქვეყანაში, განაგრძობს მინისტრი, ხორციელდება დიდი კაპიტალური მშენებლობა. კაპიტალურ დაბანდებათა, მათ შორის მშენებლობის საბრუნავ საშუალებათა დაფინანსება 1966 წელს გადიდდება 6 პროცენტით და მიაღწევს 40,6 მილიარდ მანეთს, აქედან ბიუჯეტის ხარჯზი — 22,8 მილიარდ მანეთს, საწარმოთა და ორგანიზაციათა საკუთარი სახსრების ხარჯზე — 16,7 მილიარდ მანეთს. გარდა ამისა, სახელმწიფო გეგმის გადაჭრებით კაპიტალური დაბანდებანი მიაღწევენ 12 მილიარდ მანეთზე ეფექტიანობის ამაღლება, საწარმოო სიმძლავრეებისა და საცხოვრებელი სახლების მწყობრში ჩადგმის დაჩქარება, მშენებლობის ღირებულების შემცირება და სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა ხარისხის გაუმჯობესება.

სამშენებლო და საპროექტო ორგანიზაციების მუშაობისადმი კონტროლის გაძლიერებაში დიდი როლი უნდა შეასრულონ სსრ კავშირის სამშენებლო ბანკის დაწესებულებებმა.

კომუნისტური პარტიისა და მთავრობის მუდმივი ზრუნვის საგანია, თქვა მომხსენებელმა, საბჭოთა ადამიანების მატერიალური კეთილდღეობისა და კულტურული დონის ამაღლება. ამ მიზანს უკვეთდებარებენ მთელ თავიანთ საქმიანობას პარტია და სახელმწიფო. უნდა ითქვას, რომ შვიდწლიანი გეგმის დავალებანი განათლებისა და ჯანმრთელობის დაცვის განვითარების დარგში დიდი გადაჭრებებით შესრულდა.

1966 წლის ბიუჯეტში სოციალურ-კულტურული ღონისძიებებისათვის გათვალისწინებული ასიგნებანი 1965 წელთან შედარებით დიდდება 2,8 მილიარდი მანეთით, ანუ 7,7 პროცენტით. ხარჯები ცალკეულ სახეობათა ღონისძიებებით მიაღწევს: სახალხო განათლებაზე, მეცნიერებასა და კულტურაზე — 18,7 მილიარდ მანეთს, ჯანმრთელობის დაცვასა და ფიზიკურ კულტურაზე — 7,0 მილიარდ მანეთს, სახელმწიფო სოციალურ დაზღვევასა და სოციალურ უზრუნველყოფაზე — 14,6 მილიარდ მანეთს.

მოზარდი თაობის აღზრდის სისტემაში დიდმნიშვნელოვან როლს ასრულებენ საბავშვო სკოლამდელი დაწესებულებანი. 1966 წელს საბავშვო სკოლამდელ დაწესებულებებში ბავშვების რიცხვი გადიდდება 835 ათასით და მიაღწევს 8,5 მილიონს. საბავშვო ბაღებისა და ბაგების დაფინანსებისათვის გათვალისწინებულია დაიხარჯოს 2,4 მილიარდი მანეთი, ესე იგი 11,3 პროცენტით მეტი, ვიდრე მიმდინარე წელს.

ასიგნებანი საყოველთაო სწავლებისათვის 1966 წელს გათვალისწინებულია 5 მილიარდ მანეთის ოდენობით და გადიდდება 6,4 პროცენტით. ეს სახსრები უზრუნველყოფენ მოსწავლეთა მიღების შემდგომ გადიდებას, სკოლების მატერიალური ბაზის განმტკიცებას მათი კაბინეტების, ლაბორატორიების და სასწავლო სახელოსნოების აღჭურვას. ყველა სახეობის ზოგადსაგანმანათლებელო სკოლებში მოსწავლეთა საერთო რიცხვი მიაღწევს 49 მილიონს. მიმდინარე წელს დადებითად გადაწყდა საკითხი, რომელიც საბიუჯეტო კომისიებმა შეიტანეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მეოთხე სესიაზე, სოფლის სკოლათა მოსწავლეთა უფასო მგზავრობის შესახებ.

შემდგომ განვითარდება გახანგრძლივებული დღის სკოლები დაწყებითი, რომლებიც კარგად უხამებენ ერთმანეთს ბავშვთა საზოგადოებრივ აღზრდასა და ოჯახში აღზრდას. 1966 წელს მიწურულისათვის ამ სკოლებში ისწავლის 3 მილიონი მოსწავლე, ანუ 590 ათასი მოსწავლით მეტი, ვიდრე 1965 წელს.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმმა დიდი ყურადღება დაუთმო სახალხო მეურნეობისათვის კადრების მომზადების გაუმჯობესებას. ახალ პირობებში განუზომლად დიდდება ინჟინერ-ტექნიკური კადრების, აგრეთვე სპეციალისტ-ეკონომისტების ეკონომიური მომზადების მნიშვნელობა. სულ კადრების მომზადებისათვის ბიუჯეტში ასიგნებულია 3,3 მილიარდი მანეთი, რაც ნიშნავს ზრდას 8,5 პროცენტით.

წლითიწლობით დიდდება ასიგნებანი მეცნიერული კვლევისათვის. 1966 წელს სამეცნიერო დაწესებულებათა დაფინანსებისათვის ბიუჯეტიდან და საწარმოთა და ორგანიზაციათა საკუთარი სახსრებიდან გამოიყოფა 6,5 მილიარდი მანეთი, ესე იგი 9,9 პროცენტით მეტი, ვიდრე 1965 წელს.

ჩვენი სახელმწიფოს ყურადღების ცენტრში მუდამ იყო ზრუნვა საბჭოთა ადამიანების ჯანმრთელობის დაცვისათვის. 1966 წელს გათვალისწინებულია სამკურნალო-პროფილაქტიკურ დაწესებულებათა ქსელის შემდგომი გაფართოება, მოსახლეობის სამედიცინო მომსახურების გაუმჯობესება, მედიცინის მეცნიერების უახლეს მიღწევათა დანერგვა პრაქტიკაში. საავადმყოფოების საწოლთა რიცხვი ერთი წლის განმავლობაში თითქმის 90 ათასით გადიდდება და 2,3 მილიონს მიაღწევს. მომავალ წელს დამატებით გამოიყოფა 54 მილიონი მანეთი, რაც მოხმარდება საავადმყოფოების ქირურგიულ განყოფილებათათვის საჭირო მედიკამენტების ხარჯების ნორმების გადიდებასა და სამამულო ომის ამ ინვალიდებისათვის შეღავათების მიცემას, რომლებიც ამბულატორიულად მკურნალობენ. სოციალური დაზღვევისა და სოციალური უზრუნველყოფის ხარჯები 1966 წელს გაიზრდება 6,0 პროცენტით და მიაღწევს 14,6 მილიარდ მანეთს, აქედან სახელმწიფო პენსიების გასაცემად გამოიყოფა 10,2 მილიარდი მანეთი.

მშრომელთა მატერიალურ უზრუნველყოფაში დიდმნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს სახელმწიფო სოციალური დაზღვევის ბიუჯეტს, რომელიც საკავშირო პროფსაბჭოსა და ადგილობრივი პროფკავშირული ორგანიზაციების გამგებლობაშია. 1966 წელს სოციალური დაზღვევის ბიუჯეტი გაიზრდება თითქმის 800 მილიონი მანეთით და 11 მილიარდ მანეთს გადააჭარბებს. ამ ბიუჯეტის ზრდა საშუალებას მოგვცემს მომავალ წელს ვავადფართოოთ აგრეთვე სანატორიუმებს, დასასვენებელი სახლებისა და ტურისტული ბაზების მშენებლობა.

1965 წელს პენსიებად მიბინძურებულ ოჯახთა გადიდდა 2 და II ჯგუფის ინვალიდისა და ოჯახებს, რომლებმაც მარჩენელი დაკარგეს. ამისათვის 1966 წელს გამოიყოფა 200 მილიონზე მეტი მანეთი. გაუდიდდათ შეღავათები სამამულო ომის ინვალიდებსა და სამხედრო მოსამსახურეთა ოჯახების წევრებს.

მიმდინარე წლიდან განხორციელდება კანონი კოლმეურნეთა პენსიებით უზრუნველყოფის შესახებ, რომელიც სსრ კავშირის უმაღლესმა საბჭომ მიიღო. პენსიებს 1966 წელს მიიღებს 8,3 მილიონი კაცი. კოლმეურნეებისათვის პენსიებისა და დახმარებათა მისაცემად სოციალური უზრუნველყოფის ცენტრალიზებული ფონდიდან 1966 წელს დაიხარჯება 1,4 მილიარდი მანეთი,

მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოებისა და დაწ